გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№31 (1621) 10 — 16 აგვისტო ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

მშობლების მკვლელი

რა ელის ციხეში დამნაშავეს, რომელიც ოჯახის წევრებსა და ნათესავებს სასიკვდილოდ იმეტებს

„ჩვენ ვიყავით „ხურდის ნაწილი" – პაატა დავითაიას სკანდალური ინტერვიუ აგვისტოს ომზე

ხუთდღიანი ჯოჯოხეთის ქრონიკა

დათო ევგენიძე: „რატომ უნდა ვუმართო კონცერტები ხელისუფლებას, რომელსაც ჩემი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული?!"

„თუ კი რამე პრიზია, ყველაფერი აღებული მაქვს რუსეთში, მაგრამ მივატოვე აგვისტოს ომის შემდეგ"

„რუსეთს ძალიან „მოკლე ხელები" აქვს, ის „დიდი ბიჭი" აღარაა!"

დაიწყება თუ არა აშშ-ჩინეთის ომი – მამუკა გამყრელიძის პროგნოზები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი რვა პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, მთავარ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოქალაქეთა შორის არსებული ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევის ფაქტები გამოავლინეს და მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ჭიათურასა და საჩხერეში რვა პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებულნი არიან: 1953 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.შ., 1960 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ზ. (მეტსახელად, „თუშია“), 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.თ. (მეტსახელად, „ჩხირა“), 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ა. (მეტსახელად, „ლეღვა“), 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.კ., 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.რ., 1966 წელს დაბადებული კ.ტ., 1991 წელს დაბადებული ვ.ტ.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები – „ქურდული სამყაროს“ წევრები და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერები, აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. ისინი, მოქალაქეების მიმართვის საფუძველზე, მოდავე მხარეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარების, სადავო საკითხების „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და მათი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ და ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ, შემდეგ კი „კანონიერი ქურდების“ გადაწყვეტილებების აღსრულებას პირადად აკონტროლებდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს, სადავო თანხის მიტანას აიძულებდნენ.

ბრალდებულებისა და მოდავე მხარეების მონაწილეობით რამდენჯერმე მოეწყო საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე ე.წ. ქურდული გარჩევები, რომლებშიც საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდები“ – თენგიზ ხოფერია (მეტსახელად, „ჭინკა“), დავით ქურასბედიანი (მეტსახელად, „ჭუტა“), რომან ბარბაქაძე (მეტსახელად, „რემენა“), მერაბ ჭეიშვილი (მეტსახელად, „ჟორჟიკიჩი“) და ჯეირან კინწურაშვილი მონაწილეობდნენ.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1942 წელს დაბადებული თ.ბ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, თბილისში, ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ამავე დაწესებულების დირექტორი, 1972 წელს დაბადებული გ.გ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავები და მაშველები სამხედრო პატივით დაიკრძალნენ

გუდაურთან, 29 ივლისს, ტრაგიკულად დაღუპული შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მფრინავები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, თბილისსა და ბოლნისში მდებარე სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაიკრძალნენ. საპატიო ყარაულმა გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, მათ ოჯახებს კი საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

დაკრძალვის ცერემონიამდე თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში, სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, სამოქალაქო პანაშვიდზე პატივი მიაგო დაღუპული მფრინავების, მაშველების, ექიმების ხსოვნას და მათ ოჯახებს, თანამშრომლებს, ასევე, ახლობლებს სამძიმარი პირადად გამოუცხადა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად სამების საკათედრო ტაძარში მივიდნენ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მოქალაქეები და დაღუპულთა თანამშრომლები.

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, 29 ივლისს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოვდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახები, მატერიალური დახმარების სახით, 100 ათას ლარს მიიღებენ.

გუდაურთან სამაშველო ოპერაციისას დაღუპულები, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ასევე დაჯილდოვდნენ მედლით – „სამოქალაქო თავდადებისათვის“.

ხუთდღიანი ჯოჯოხეთის ქრონიკა

ნინო დოლიძე

როგორ დაიწყო აგვისტოს ომი

2008 წელს, რუსული ინტერვენციის შედეგად, დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი. დღემდე დაკარგულად ითვლება 8 ჯარისკაცი. სახლები დატოვა თითქმის 150 ათასმა ადამიანმა. მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 ათასამდე. 2008 წლის დასაწყისიდან, მოვლენები შედარებით მშვიდად ვითარდებოდა. მოსკოვის, მისი მარიონეტული რეჟიმებისა და თბილისის მხრიდან, პერიოდულად ვითარების დაძაბვის მცდელობისა და პროვოკაციების თაობაზე, ურთიერთბრალდებები ისმოდა. სამსახურში მივდიოდი... „თავისუფლების მოედანზე“ უამრავი ყვითელი ავტობუსი იდგა... ხალხიც ბლომად იყო, ძირითადად, მამაკაცები... გულმა რეჩხი მიყო... ბოლო დღეებში, ე.წ. ცხინვალის რეგიონიდან არასასიამოვნო ცნობები მოდიოდა და ავტობუსების დანახვისთანავე გავიფიქრე, ნეტავ, ცუდი ხომ არაფერი ხდება-მეთქი... ოფისში მისვლისთანავე ტელევიზორი ჩავრთე და... ომი დაიწყო!.. არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, ერთადერთი, რაც მოვახერხე, თანამშრომელ გოგო-ბიჭებს ვუთხარი, მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავდივართ, ვისაც შეგიძლიათ, დარჩით, ვისაც – არა, წადით-მეთქი. ბავშვები დარჩნენ... მთელი ღამე „ნიუსებს“ „ვდებდით“. ასე გაგრძელდა მეორე დღესაც, ანუ 8 აგვისტოსაც, 9-შიც, 10-შიც... ეს ჯოჯოხეთი ხშირად მახსენდება და იმათზეც ხშირად ვფიქრობ, ვინც რუსული ტყვიების პირისპირ აღმოჩნდა – მშვიდობიან მოსახლეობაზე, ჩვენს ჯარისკაცებზე, ექიმებზე... ისე, ბოლო დროს, ერთგვარი დეჟა-ვიუ მაქვს – მაშინაც მოულოდნელად „გააგრესიულდა“ კრემლი. ახლა მთლად ასე არ არის, მაგრამ ამ რუსი ტურისტების „ბითუმად“ შემოსვლა მაინცდამაინც არ მომწონს. ჰო, მაშინ, 14 წლის წინ, მსოფლიო ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დარწმუნებული, რომ კრემლში სატანა ცხოვრობდა. ახლა მთელმა პლანეტამ იცის, რომ პუტინი პირსისხლიანია. ამიტომ, არ მგონია, 14 წლის წინანდელი მოვლენები ანუ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, საქართველოში ისევ განმეორდეს, მაგრამ ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს. ამიტომ, შეცდომა რომ აღარ დავუშვათ, მოდით, 14 წლის წინანდელი აგვისტო და მისი წინაპერიოდი გავიხსენოთ...

* * *

2008 წელს, ქართულ-რუსული ურთიერთობები განსაკუთრებით ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდეგ დაიძაბა. სამიტზე, რომელიც 2008 წლის აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართა, ალიანსის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა ღიად განაცხადეს, რომ საქართველო ნატო-ს წევრი აუცილებლად გახდება.

განცხადებამ რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველო ნატო-ში არ გაწევრიანდეს.

ვლადიმერ პუტინმა კი აღნიშნა, რომ რუსეთს ნატო-ს პოზიციის საპასუხოდ, „საშინაო მონახაზები“ მზად ჰქონდა.

31 მაისს, რუსეთმა, რკინიგზის ხაზის აღდგენის მოტივით, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა და სამუშაოები დაგეგმილზე ერთი თვით ადრე, აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაასრულა.

პარალელურად, მწვავდებოდა ვითარება ცხინვალის რეგიონში. ქართული სოფლების დაბომბვა თითქმის ყოველდღე მიმდინარეობდა. 30 ივლისს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების საფრთხე რეალური იყო.

ოსურ შეიარაღებულ ფორმირებასა და ქართველ ძალოვანებს შორის ყველაზე სერიოზული შეტაკება პირველ აგვისტოს მოხდა, რომლის შედეგადაც, 6 შეიარაღებული ოსი დაიღუპა, 7 კი დაიჭრა. შეტაკების შემდეგ კვლავ გაგრძელდა ნულის, ავნევის, დვანისა და სხვა ქართული სოფლების დაბომბვა.

7 აგვისტოს, ცხინვალში დე-ფაქტო ვიცე-პრემიერ ბორის ჩოჩიევთან მოლაპარაკების გასამართად, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, თემურ იაკობაშვილი გაემგზავრა. შეხვედრას უნდა დასწრებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იური პოპოვი, თუმცა მან ავტომობილის დაზიანება მოიმიზეზა და თბილისიდან ცხინვალში აღარ ჩავიდა. იაკობაშვილმა მხოლოდ რუსი სამშვიდობოების სარდალთან, მარატ კულახმეტოვთან შეხვედრა მოახერხა და ცხინვალი მალე დატოვა.

8 აგვისტოს, ღამეს, საქართველოს შეიარაღებული ძალები სეპარატისტული ცხინვალის ფორმირებებთან და რუსულ არმიასთან კონფლიქტში ჩაება. საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით და ფსოუს საზღვრიდან, 15 ათასამდე რუსი სამხედრო შემოვიდა.

ქართულმა შენაერთებმა ცხინვალი დაიკავეს, თუმცა რუსული ავიაციის იერიშების შემდეგ უკან დაიხიეს. რუსულმა ავიაციამ საჰაერეო იერიშები მიიტანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში განთავსებულ სამხედრო ბაზებსა და აეროდრომებზე. ორჯერ დაიბომბა გორი, მათ შორის, სამხედრო ბაზის ტერიტორია. რუსულმა ავიაციამ თბილისის ვაზიანის ბაზა, საავიაციო ქარხანა და ქვიშიანის მთაზე მდებარე რადარიც დაბომბა. დაიბომბა ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზები.

რუსეთის 58-ე არმიამ, ცხინვალისა და სოხუმის რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტრიტორიებთან ერთად, ახალგორის რაიონი, ზემო აფხაზეთი, ზუგდიდი, გორის რაიონის რამდენიმე სოფელი, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი დაიკავა.

აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ჩარევის შედეგად მოხერხდა. სარკოზიმ, 12 აგვისტოს, ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში შეათანხმა. 8 სექტემბერს კი, მედვედევთან და სააკაშვილთან სამშვიდობო გეგმის ახალი დეტალები დააზუსტა.

რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანება 26 აგვისტოს გამოსცა. მოსკოვის ამ გადაწყვეტილებას დღემდე მხარი მხოლოდ დაჯგუფება „ჰამასმა“ და ნიკარაგუამ დაუჭირეს და ისიც განცხადებების დონეზე.

8 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით, რუსულ შეიარაღებულ შენაერთებს კონფლიქტის ზონების გარეთ მდებარე ტერიტორია ერთი თვის ვადაში უნდა დაეტოვებინათ. პირველი ოქტომბრიდან კი საქართველოში პატრულირება ევროკავშირის დამკვირვებლებმა დაიწყეს.

რუსული ჯარების გაყვანის პროცესის შესამოწმებლად, გორის რაიონს 10 ოქტომბერს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბერნარ კუშნერი ეწვია და რამდენიმე სოფელში ჩავიდა. მისი შეფასებით, მოსკოვმა შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. რუსი ოკუპანტები კვლავ დარჩნენ სოფელ პერევში, რომელიც 12 დეკემბერს, მხოლოდ რამდენიმე საათით დატოვეს.

* * *

14 წელი ისტორიისთვის არაფერია, მაგრამ იმ დედებისთვის, რომლებმაც რუსეთთან უთანასწორო ომში შვილები დაკარგეს, ეს 14 წელი ჩვეულებრივი ჯოჯოხეთია, თუმცა თითოეულმა მათგანმა იცის, რომ გმირი შვილი ჰყავდა, რომელიც სამშობლოს შეეწირა! სწორედ ასეთ გმირებზე დგას ჩვენი ქვეყანა. ჰოდა, ვიღაცებს, რაც უნდა ეცადონ, რუსეთი ერთმორწმუნე ძმად გაასაღონ, არაფერი გამოუვათ, რადგან ჩვენ, საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვიცით, რომ დიახ, რუსეთი ოკუპანტია!

დიახ, კრემლს ჩვენი სამშობლოს 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ დათვს „ბაბაია“ არ უნდა დავუძახოთ!

ასე რომ, დიდება გმირებს!

და კიდევ: აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა, ვინმეს მოსწონს თუ არა, მსოფლიო გარკვეულწილად შეცვალა! რატომ? – იმიტომ, რომ მსოფლიომ პუტინის რუსეთის ნამდვილი სახე დაინახა...

„რუსეთს ძალიან „მოკლე ხელები“ აქვს, ის „დიდი ბიჭი“ აღარაა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დაიწყება თუ არა აშშ-ჩინეთის ომი – მამუკა გამყრელიძის პროგნოზები

რუსეთ-უკრაინის ხუთთვიანი ომის პარალელურად, მსოფლიოში რამდენიმე კონფლიქტური კერა გააქტიურდა. სერბეთ-კოსოვოსა და ჩინეთ-ტაივანის, გლობალურ ჭრილში – ჩინეთ-აშშ-ს შორის დაძაბულობის შემდეგ, კავკასიის რეგიონშიც გამწვავდა ვითარება – ყარაბაღის ომი განახლდა. ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ეჭვობს, მსოფლიოში კონფლიქტური კერების ერთმანეთის მიყოლებით გამწვავება, შესაძლოა, რუსეთის ინტერესს უკავშირდებოდეს იმ ფონზე, რომ უკრაინასთან ომში კრემლს, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო პოზიცია არ უკავია. ამ საკითხებზე „ვერსია“ ჩინეთში ყოფილ ელჩს, მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა:

– ბატონო მამუკა, მსოფლიოში კონფლიქტური კერების გაღვივება რუსეთის ინტერესებს ხომ არ უკავშირდება?

– არაერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეიძლება. ყველა ცხელი წერტილი იმ ერთი მოვლენის სხვადასხვა ნაწილია, რასაც ჰქვია მსოფლიოს ახალი გადანაწილება. მოწყობის ძველი სისტემა მოძველდა და აღარც საერთაშორისო ხელშეკრულებები მოქმედებს, შესაბამისად, საჭიროა რაღაც ახალი სისტემის შექმნა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და ა.შ. სხვადასხვა შინაარსისაა ყველა ეს ცხელი წერტილი და სრულიად განსხვავებული საფუძვლები აქვს.

ჩინეთ-აშშ-ს შორის ტაივანი გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი. ეს აშშ-სა და ჩინეთის მომავალი დაპირისპირების მხოლოდ დასაწყისია და, ალბათ, გარკვეული ომის შემდეგ, „ცხელი ომით“ დასრულდება.

ყარაბაღის კონფლიქტი ლოკალურია. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს თურქეთის ახალი პოლიტიკა და რა თქმა უნდა, რუსეთის ზეგავლენა ამ რეგიონზე, მისი ხელი. ეს ყველაფერი ერთად, იწვევს ამ დუღილს.

კოსოვო-სერბეთის კონფლიქტი ევროპის ტკივილია. ბევრი არასწორი ნაბიჯი იქნა გადადგმული, როგორც სერბების – მაშინდელი იუგოსლავების მხრიდან, ასევე, რუსებისგან და რა თქმა უნდა, დასავლეთმაც მძიმე ომით დაშალა იუგოსლავია.

შიძლება აუცილებლობა იყო, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ ბევრი სისხლია დაღვრილი და ასე მარტივად ამ ტკივილის მოშუშება არ შეიძლება.

ასეთი დაპირისპირება, შეიძლება, რუსეთს აძლევს ხელს, მაგრამ ასეთი კონფლიქტები კოსოვო-სერბეთის საზღვარზე ჩვეულებრივი ამბავია.

– რუსეთს სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს უკრაინასთან ომში და ამის გამო სავარაუდოა, რომ მსოფლიოში კონფლიქტების გაღვივება აწყობდეს...

– კი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რუსეთს ძალიან „მოკლე ხელები“ აქვს. ერთადერთი, სადაც შეიძლება ჩაერიოს, ესაა კავკასიის რეგიონი, რადგან გარკვეული შესაძლებლობები აქვს, განსაკუთრებით სომხეთში, თორემ აზერბაიჯანში – არა.

სერბეთსა და კოსოვოში ვერანაირად ჩაერევა, რადგან იქ ნატო აკონტროლებს ყველაფერს და ახლოს არ მიუშვებს.

შეიძლება, რუსეთმა სერბეთს მოსთხოვოს ან სთხოვოს, მაგრამ ეს ნაკლებრეალურად მიმაჩნია. ასეა თუ ისე, სერბეთს მაინც ევროპისკენ აქვს აღებული გეზი და დღეს იქნება თუ ხვალ, ევროკავშირის კანდიდატი გახდება.

– რაც შეეხება ჩინეთს?..

– არა, ეს აბსოლუტურად გამორიცხეთ. იქ ძალიან დიდი „ბიჭები“ თამაშობენ, რუსეთი აღარაა ასეთი „ბიჭი“. აშშ-ჩინეთის დაპირისპირება სრულიად სხვა დონისა და მასშტაბისაა, ვიდრე ეს პატარა ლოკალური დაპირისპირებებია და ძალიან სერიოზული დაპირისპირების პატარა ნიშანი ჩანს.

– როცა აშშ-ჩინეთის ომს პროგნოზირებთ, ეს თავშივე მოიცავს თუ არა მესამე მსოფლიო ომის საშიშროებას და როგორ ფიქრობთ, რა პერიოდში შეიძლება ეს მოხდეს?

– სერიოზული შეცდომაა იმის ფიქრი, რომ მესამე მსოფლიო ომს უნდა ველოდოთ, გარკვეული დროის შემდეგ. გაგანია ომის პირობებში ვიმყოფებით. მხოლოდ გარკვეულ ადგილებშია კონვენციური ომი, მაგალითად, უკრაინა-რუსეთის ომს ვგულისხმობ.

ეს არის „პროქსი ომი“, რომელიც მედიასივრცეში, კოსმოსმოსში, ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს. ჩვენ კი ამას მშვიდად ვუყურებთ და მხოლოდ „ცხელ ომზე“ ვაკეთებთ აქცენტს.

რეალურად, არ მგონია, ამ ომმა უფრო გლობალური სახე მიიღოს ევროპაში იმიტომ, რომ მაინც შეძლებს ევროპა კონფლიქტების ჩახშობას. მთავარია, უკრაინამ მოახერხოს დეოკუპაცია და რუსეთში არ გადავა არავითარ შემთხვევაში. რაც შეეხება იმ დიდ ომს აშშ-სა და ჩინეთს შორის, ეს მოსალოდნელია, რადგან ეს პირველობისთვის ომია. რაღაც მომენტში, ალბათ, აშშ აღარ იქნება ისეთი ძლიერი ან ჩინეთი გახდება ბევრად ძლიერი, ვიდრე ახლაა. ჩინეთის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ წინსვლას ვხედავთ.

თუ მოახერხებენ შიდა ბაზრის განვითარებას და ამერიკული და ევროპული ბაზრებისგან დამოუკიდებლად არსებობას, არ გამოვრიცხავ სერიოზულ დაპირისპირებას წყნარ ოკეანეშიც, თუმცა უახლოეს პერიოდში, ამას ვერ ვხედავ, რადგან აშშ-სა და ჩინეთს შორის, სამხედრო-ტექნოლოგიური განსხვავება, დაახლოებით, 20 წელია. მუდმივი არასდროს არაფერია და ისიც საგულისხმოა, რომ ჩინელები არასდროს ოპერირებენ მოკლე ვადით, ისინი სტრატეგები არიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, თაობების იქით უყურებენ თავის სტრატეგიას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ შორიდან დავაკვირდეთ და შეიძლება, რაღაცები ვერც დავინახოთ.

„ჩვენ ვიყავით „ხურდის ნაწილი“ – პაატა დავითაიას სკანდალური ინტერვიუ აგვისტოს ომზე

„მშვიდობით არავინ არაფერს დაგვიბრუნებს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 14 წელი გავიდა. აგვისტოს ომის 5 დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმესი, სისხლითა და ტრაგედიებით სავსე მოგონებაა, რომელიც თითოეული პატრიოტი ქართველისთვის კიდევ ერთ მოუშუშებელ იარად იქცა. არ შეიძლება, დაგავიწყდეს დღეები, როცა საქართველოს კიდევ ერთი ნაწილი – სამაჩაბლო დროებით დავკარგეთ და როცა საქართველოს სრული ანექსიის საშიშროება იდგა. ახლა, როცა უკრაინის მიმართ მსოფლიოს უპრეცედენტო დახმარებას ვხედავთ, კიდევ უფრო სამწუხარო ხდება განცდა, რომ 2008 წელს, საქართველოზე რუსეთის თავდასხმა მსოფლიომ, რბილად რომ ვთქვათ, შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვა, თუმცა აღსანიშნავია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო სასამართლოების მიერ აღიარებული ფაქტები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის დანაშაულს უსვამს ხაზს. შეგახსენებთ: 2008 წელს, რუსული საოკუპაციო ძალების ინტერვენციების შედეგად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა. დაჭრილი და დაშავებული სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა სულ 2 232-ია, მათ შორის, 1 045 პირი სამხედრო მოსამსახურეა. დღეს, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია. რუსეთის ფედერაცია ისევ განაგრძობს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციასა და მილიტარიზაციას, რეგულარულად ატარებს უკანონო სამხედრო წვრთნებს ქვეყნის ტერიტორიაზე, ინტენსიურად ამაგრებს საოკუპაციო ხაზს მავთულხლართებით და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერებით, აგრძელებს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის უკანონო დაკავებისა და გატაცების პრაქტიკას.
„ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას ესაუბრა.

– რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წელს კი არა, მაშინ დაიწყო, როცა საქართველომ განაცხადა, რომ სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გამხდარიყო ანუ 1918 წლიდან, როცა სუვერენიტეტი აღვადგინეთ.

ამას პირველი ოკუპაცია 1921 წელს მოჰყვა, რაც 70 წელზე მეტხანს გაგრძელდა. შემდეგაც, როგორც კი აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, ისევ ომი განახლდა. ეს არის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაკვეთები.

2008 წლის საომარი შეტაკებები იყო გაგრძელება, რადგან ომი სულ მიმდინარეობს. დღესაც ჰიბრიდული ომია, რუსები რომ შემოდიან და ეკონომიკურად გვიპყრობენ, ესეც ომია.

2006 წელს, რუსეთის უშიშროების საბჭო განიხილავდა საკითხებს, საქართველოში ფულით შემოსულიყო თუ ტანკით და 2008 წელს, აირჩია ტანკით შემოსვლა. ყველაფერი ეს გრძელდება, მით უმეტეს, 24 თებერვლის რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, მსოფლიოში ყველაფერი შეიცვალა.უკრაინაზე თავდასხმა მოხდა იმიტომ, რომ დასავლეთმა არ გააკეთა დასკვნები იმაზე, რაც საქართველოს სჭირდა ამ წლების განმავლობაში.

– ბატონო პაატა, რას მიაღწია საქართველომ მსოფლიო სამართლის სივრცეში – სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოში, 2008 წლის ომის შესახებ რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული?

– სასამართლოებში რაც ხდება, ესეც დაგვიანებული პროცესია...

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სანქცია დააკისრა რუსეთს, თუმცა რუსეთი ამას არ ემორჩილება.

რაც შეეხება ჰააგის სასამართლოს, იცით, რომ სანქციები გაიცა და ძებნა გამოცხადდა 2008 წლის ომის მონაწილეებზე, მაგრამ სამართლებრივად, რაღაც მომენტებში, იქაც არასწორი გზით წავედით.

ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, უფრო სწრაფად მივიღებდით შედეგს, თუმცა მაინც მთავარია, რომ პროცესი გრძელდება. მთავარი ისაა, რომ 14 წლის შემდეგ, საქართველოს მიმართ საფრთხეები უფრო გაიზარდა.

– რას გულისხმობთ?

– რუსები ისე დადიან საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უნდათ. ფაქტობრივად, მიდის მზადება გარკვეული ქმედებებისთვის, რაც შეიძლება, გახდეს ოკუპაციის საბოლოო საბაბი. იმას ვგულისხმობ, რომ შემოსული რუსეთის მოქალაქეები ბინადრობის უფლებას იღებენ და გავიხსენოთ, რატომ მოხდა აფხაზეთში, ცხინვალში, უკრაინაში შესვლა – იმ მოტივით, რომ რუსეთის მოქალაქეები უნდა „დაეცვათ“.

ამიტომ, საფრთხეები იზრდება და სამწუხაროდ, ამდენი წლის განმავლობაში, დასკვნები ვერ გავაკეთეთ. არ დავიწყეთ მზადება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ესენია ეკონომიკური, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები; ეს არის სტრატეგიის შემუშავება ახალგაზრდა თაობაში და იმ ისტორიული მომენტების ჩვენება, რაც ხდებოდა.

ჩვენთან კი პრიმიტიული საუბრები მიდის – ომი ვინ დაიწყოო... ომი არც 5 აგვისტოს დაწყებულა და არც – 7 აგვისტოს. ეს ომი 1918 წელს ანუ მაშინ დაიწყო, როცა დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ! ამიტომ, სანამ გლობალური დასკვნები არ გაკეთდება, იქამდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრობლემური თემა იქნება.

დასასრული მე-6 გვერდზე

„ჩვენ ვიყავით „ხურდის ნაწილი“ – პაატა დავითაიას სკანდალური ინტერვიუ აგვისტოს ომზე

მე-5 გვერდიდან

აზერბაიჯანის მაგალითი განვიხილოთ – ვნახეთ, როგორ ეტაპობრივად, ინსტიტუციურად მიუდგნენ საკითხს. აზერბაიჯანში პირველ პრობლემად ყარაბაღის საკითხს მიიჩნევენ. ჩვენთან კი კვლევა რომ ჩაატარო, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას მე-7 ადგილზე დაასახელებენ.

ყველაფერი ეს იდეოლოგიაზეა დამოკიდებული და ასე მიაღწია შედეგს აზერბაიჯანმა. ჩვენ ხვალ კი არ გვინდა გამარჯვების მიღწევა, არამედ, ვფიქრობთ, რომ გუშინ უნდა გაგვემარჯვა. ასე არ ხდება, სამწუხაროდ.

– წელან, საერთაშორისო სასამართლოების მიერ, რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებზე საუბრობდით. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად ცივილიზებული საერთაშორისო საზოგადოება, 2008 წლის ომის კონტექსტში, რუსეთს დამნაშავედ სცნობს და ყველა კითხვა მოხსნილია, თუნდაც ომის დაწყებასთან დაკავშირებით?

– 24 თებერვლის შემდეგ, ეს კითხვა მოხსნილია. ვისაც არ უნდა, ეს გაიგოს...

ისე, სალომე ზურაბიშვილი ამბობდა, ომი საქართველომ დაიწყოო და დღეს სხვა განცხადებებს აკეთებს. ვის როგორ აწყობს, ისე იქცევა...

– ადამ კინზინგერმა განაცხადა, 2008 წლის ომის დროს, მსოფლიოს ეძინაო. თქვენც მიიჩნევთ, რომ მსოფლიომ რუსეთთან მიმართებაში მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, როცა 2008 წელს, საკმარისი დახმარება არ გაუწია საქართველოს და სწორედ ამის შედეგად დადგა 2022 წლის 24 თებერვალი?

– იმ ძლიერ ქვეყნებს, როგორებიც არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, ეგონათ, რომ რუსეთთან საკითხი მოგვარებული იყო.

– რატომ, რა უქმნიდათ ამ განცდას?

– ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ – ბიზნესი, ფულის კეთება და ჩვენ ვიყავით „ხურდის ნაწილი“ ამ დიდ თამაშებში. მოლაპარაკებებში შეეძლოთ, „გაეხურდავებინათ“ ჩვენი საქართველო ამ დიდ სუბიექტებს. ვერ ხედავდნენ რეალობას და ვერც წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა, რუსეთს ასეთი იმპერიალისტური ზრახვები ჰქონოდა. ეს იყო დიდი შეცდომა.

არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და არც 2014 წელს, უკრაინაში ყირიმის დაკარგვის დროს, გააკეთეს შესაბამისი დასკვნები მოსფლიოში. არც 2022 წლის 24 თებერვალს გააკეთეს დასკვნა და 3-4 თვე დასჭირდათ, შეიარაღება მიეცათ უკრაინისთვის. ამიტომ, რეალურად, ეს არის დასავლეთის ბიუროკრატიული მანქანის შეცდომა და ჩვენ ვიმკით ამ შეცდომებს. სამწუხაროდ, ჩვენს გარდა, უკვე ჩვენი მოძმე უკრაინელების ოჯახები, ბავშვები იმკიან ამას და ყველაზე მტკივნეული ესაა. სიმართლე გითხრათ, ახლაც კი უკმაყოფილო ვარ დასავლეთის ქმედებებით, უფრო მეტი და მნიშვნელოვანი შეიარაღება უნდა მისცეს უკრაინას.

მოდით, ვისაუბროთ გაეროზეც – მოკვდა უკვე ეს ორგანიზაცია. კიევში რომ ჩავიდა, გაეროს გენერალურ მდივანს რაკეტა ესროლეს, ერთი კილომეტრით ააცილეს და ამაზე მეტი ნიშანი რა შეიძლება იყოს, რომ გაერო მკვდარია?!

– ე.ი. მოვლენები იქით მიდის, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგია დასამყარებელი, არა?

– კი. მაგალითად, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურა იმიტომ შეიქმნა, რომ ასეთი დამნაშავეების წინააღმდეგ ებრძოლა, მაგრამ ეფექტიანობა აღარ აქვს. 24 თებერვლის შემდეგ, ჩემთვის, როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტისთვის, საერთაშორისო სამართალი მოკვდა.

– და გამოსავალს სად ხედავთ?

– ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, სადაც სამწუხაროდ, ვუბრუნდებით ველურ მიდგომებს. საერთაშორისო სამართალში არის ასეთი ცნება – „საერთაშორისო სამართლის ძლიერი სუბიექტი“ და დღეს იმ რეჟიმში ვცხოვრობთ, რომ ძლიერი სუბიექტია რუსეთი, აშშ და ის სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

რეგიონში ჩვენზე ძლიერია აზერბაიჯანი... მოკლედ, დღეს უფრო კონსერვატიზმი სჭარბობს მიდგომებში, მსოფლიო ნელ-ნელა იკეტება საკუთარ ნაციონალისტურ კონტექსტში. ლიბერალური მიდგომები უფრო უკანა ხაზზე გადადის და ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იფიქროს ამაზე და გააკეთოს დასკვნა.

არ არის აუცილებელი, რომ ვიღაცას თავს დავესხათ, არამედ, უნდა ვიყოთ მზად თავდაცვისთვის. ამის წინაპირობას არ ვხედავ, არადა, ძალიან შეიცვალა მსოფლიო. ერთ ავტომატსაც კი თუ ვინმე გაისროდა, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა იმართებოდა და განგაშის ზარს შემოკრავდა, ახლა კი რაკეტებს „ურახუნებენ“ ერთმანეთს და ვითომ არაფერი!

– ბატონო პაატა, რუსეთიდან უპრეცედენტო რაოდენობის ხალხის შემოსვლაში რა კონკრეტულ საფრთხეებს ხედავთ? სხვათა შორის, ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთ წელიწადში, უვიზო რეჟიმი დააწესა წინა სახელისუფლებო ძალამ რუსეთთან...

– უვიზო რეჟიმის შემოღება მაშინ სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ეს არ ნიშნავდა, რომ საქართველოს რუსები მოაწყდნენ, რადგან ჩვენს სახელმწიფოს ისეთი იდეოლოგია ჰქონდა, რომ რუსს ეშინოდა და ან არ მოდიოდა, ან თავდახრილი მოდიოდა.

რა შუაშია აქ ვიზა? – დღეს სავიზო რეჟიმიც რომ იყოს და მკაცრი მიდგომები მოსახლეობის მხრიდან, ასე რომ არ „ეფინებოდნენ“ რუსებს, აღარ წამოვლენ საქართველოში. გახსოვთ, პირველ დღეებში როგორ შემოდიოდნენ? – გატეხილი ინგლისურით და უკრაინის დროშებიც კი ეკიდათ. ახლა კი, როგორც კი თავისუფლება იგრძნეს, თავები ასწიეს და ენები ამოიდგეს.

სახელმწიფოებრივი მიდგომა აღარ არის, თორემ რა შუაშია აქ, ვიზა?.. ბინადრობის უფლებას რომ არ აძლევდნენ და მკაცრი მიდგომა იყოს ამ საკითხზე, გგონიათ, მაინც ამდენი ჩამოვა? სასათბურე პირობები შეუქმნეს და იმიტომ ჩამოდიან.

1921 წლის მოვლენებს გაგახსენებთ – როცა 1918 წელს, რევოლუცია მოხდა და შემდეგ ბოლშევიკები მოვიდნენ, ძალიან ბევრი რუსული ინტელიგენცია წამოვიდა საქართველოში ზუსტად ისე, როგორც ახლა ხდება, დაახლოებით, ნახევარ მილიონამდე. მათგან ნახევარი გავიდა საქართველოდან, მაგრამ იმ ნახევარმა, რომელიც საქართველოში დარჩა, უზრუნველჰყო ორჯონიკიძის ჯარების შემოყვანა. ეს გავიარეთ ჩვენ და ხომ უნდა გამოვიტანოთ დასკვნები?

ერთსა და იმავე ნაღმზე ხომ არ უნდა ავფეთქედეთ? რუსეთის იმპერიას არაფერი შეუცვლია, იგივე მიდგომები აქვს, რაც საუკუნის დასაწყისში ჰქონდა.

– ბატონო პაატა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შორეულ ამბად მიგაჩნიათ?

– არაპოპულარულ რამეს ვიტყვი, მშვიდობით არავინ არაფერს დაგვიბრუნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ომია აუცილებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვემზადოთ სამართლებრივი სანქციებისთვის სეპარატისტთა წინააღმდეგ. უნდა ვიმუშავოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

იგივე, ბიჭვინთის საკითხზე, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეთქვა, ჩვენ აღვადგენთ ბიჭვინთას უპირობოდო. მართალია, არავინ აღგვადგენინებდა, მაგრამ მოსახლეობა ნახავდა, რომ რუსეთი მიწას არ-თმევს, ქართველები კი უპირობოდ უკეთებენ...

ამას სჭირდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სისტემური მიდგომა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს დღე ტერიტორიების დაბრუნებისა და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

გამოვლენილია თაღლითობის ფაქტები აფხაზეთის ბიუჯეტში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – რა მასალები გადააგზავნა უწყებამ მთავარ პროკურატურაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აფხაზეთის ა/რ 2021 წლის ბიუჯეტის აუდიტი გამოაქვეყნა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დარღვევების თანხობრივი მოცულობა – 1 870 000 ლარი, მათ შორის, არასწორად აღრიცხული თანხა – 1 121 000 ლარი იყო. გარდა ამისა, არარაციონალურად, არაეკონომიურად დაიხარჯა 749 000 ლარი, არადა, ეფექტიანი მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა 1 837 000 ლარის დაზოგვა. სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი გარემოებები გამოავლინეს, რომლებსაც შესაბამისი რეაგირება სჭირდება, როგორც ცალკეული უწყების, ასევე, სისტემურ დონეზე. მეტიც, სახელმწიფო პროგრამების შესრულების ნაწილში, გენერალურმა აუდიტორებმა თაღლითობის ისეთი ფაქტები აღწერეს, რომ შემდგომი რეაგირების მიზნით, მასალები მთავარ პროკურატურაში გადააგზავნეს.

ხარვეზები სახელმწიფო ქონების გამოყენებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა აფხაზეთის ა/რ სამინისტროების, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის (სსიპ-ები) და წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისათვის გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონების გამოყენებასთან (მართვასთან) დაკავშირებული ნაკლოვანებები გამოავლინეს.

ხშირია სახელმწიფო ქონების არა მარტო უკანონოდ (შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე) გამოყენების, არამედ, ისეთი ფაქტებიც, როდესაც აღნიშნული ქონების მიმართვა არ ხორციელდება დანიშნულებისამებრ.

შესაბამისად, აშკარაა სახელმწიფო ქონების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენება-მართვა.

„აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის ფართებზე ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, აუდიტის პერიოდში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტროს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები – შპს-ები. მაგალითად, დაბა წყნეთში არსებულ შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართით – 599 კვ.მ. განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი – „ცხუმი"; წყალტუბოში, 26 მაისის ქ. №17-ში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართით – 750 კვ.მ. განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა"; ხობში, 100 კვ.მ ფართზე განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა"; თბილისში, კალოუბნის ქ. №16-ში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „აფხაზეთი" – დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ „პროგრამების სააგენტოს" სარგებლობის უფლებით ბალანსზე ერიცხებოდა ხობის რაიონის სოფელ ხამისქურში მდებარე 4 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 78 487 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობით სარგებლობდა არაუფლებამოსილი ფიზიკური პირი, რომელსაც ფართზე მოწყობილი ჰქონდა დაფნის საშრობი.

შესაბამისად, აუდიტორების მტკიცებით, შენობა-ნაგებობა, მიწასთან ერთად და იქ განთავსებული აქტივები გამოიყენებოდა არაუფლებამოსილი პირის მიერ მართლზომიერი და კანონიერი საფუძვლის გარეშე.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით არ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლით – ქირით ან/და იჯარით გადაცემა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება ხორციელდებოდა არამართებულად, არამიზნობრივად და არაეფექტიანად.

ხარვეზები პროგრამების დაგეგმვა-შესრულებაში

ჩატარებული აუდიტებით დაფიქსირდა, როგორც პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვაში, ისე მათ შესრულებაში არსებული ხარვეზები, თუმცა ხარვეზების გარდა, აუდიტორებმა თაღლითობის ისეთი ფაქტებიც გამოავლინეს, რომ მასალები საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადააგზავნეს.

„ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, სოფელ ზემო ქვალონში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო ლურჯი მოცვის დარგვა და მიღებული მოსავლის რეალიზაცია, თუმცა ჩატარდა მხოლოდ მიწის შემოღობვის სამუშაოები და პროგრამის მიზნების შესრულების მიზნით, სხვა დამატებითი ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

დასასრული მე-8 გვერდზე

გამოვლენილია თაღლითობის ფაქტები აფხაზეთის ბიუჯეტში

მე-7 გვერდიდან

თაღლითობა-მითვისების მუხლით, მათ შორის, მოცვთან დაკავშირებით, დაკავებულია სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, 2021 წლის 20 დეკემბერს გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, დააკავეს აფხაზეთის ა/რ სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად, შპს „მედერის“ დირექტორიც იყო.

აღნიშნულ პირს მოცვის საკითხთან დაკავშირებით თანხების მითვისების ბრალდება წარედგინა“.

სხვა პროგრამის ფარგლებში, სოფელ ხამისქურში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე, დაგეგმილი იყო დაფნის ფოთლის გადამუშავების საამქროს მოწყობა და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, თუმცა განხორციელდა მხოლოდ ფართზე არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, რომელშიც ამჟამადაც კი, არაუფლებამოსილი პირის მიერ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოწყობილია და ფუნქციონირებს დაფნის საშრობი.

ასევე არასაკმარისი ღონისძიებების გამო, დაფნის ნერგები განადგურდა და პროდუქციაც ვერ იქნა მიღებული.

„ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ზუგდიდსა და წალენჯიხაში მცხოვრები დევნილების სათბურების რეაბილიტაცია და შემდგომი მომსახურების მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით დახარჯულია საბიუჯეტო სახსრები და გაფორმებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ბენეფიციარებს დამატებითი სათბურები ან/და არსებულის რეაბილიტაციის მომსახურება არ მიუღიათ.

შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული მიზნები არ არის მიღწეული. შედეგად, სსიპ „პროგრამების სააგენტომ არამიზნობრივად გახარჯა 252 643 ლარი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია, შესაბამისი მასალებით, გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სსიპ „პროგრამების სააგენტომ“ დაგეგმა და განახორციელა ერთი და იმავე მიზნობრიობისა და შინაარსის მატარებელი ორი პროგრამა. პროგრამები ითვალისწინებდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყესა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონში, სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწებზე სიმინდის მოსაყვანად სამუშაოების ჩატარებას და 80 ტონამდე სიმინდის მოსავლის მიღებას. მიღებული მოსავლიდან 20 ტონა სიმინდი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ დევნილ ოჯახებს, ხოლო 60 ტონის რეალიზაციით იგეგმებოდა 90 000 ლარის შემოსავლის მიღება.

„დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში, 148 470 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის შესწავლით ვერ ხერხდება იდენტიფიცირება, კონკრეტულად, რა სამუშაოები შეისყიდა სააგენტომ და რა სამუშაოები ჩაატარა მიმწოდებელმა.

ასე, მაგალითად, გაწეული 27 300 ლარის შრომის ანაზღაურების ხარჯების ანალიზით დადგინდა, რომ სოფელ რიყეში შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული, ხოლო სოფელ ზემო ქვალონის მიწის მოვლა-პატრონობაზე დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან არ ჩანდა, კონკრეტულად, რა სახის სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო.

ამასთან, არ იყო წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშები“.

სახელმწიფო აუდიტოს დასკვნის მიხედვით, დაგეგმილი პროგრამების განხორციელების მიზნით, სააგენტოს სს „რუსთავის აზოტისაგან“ უსასყიდლოდ გადაეცა 23 954 ლარის ღირებულების 41 ტონა სასუქი.

მოწოდებული ინფორმაციით, სასუქი სრულად მოხმარდა, ჯამში, 18 ჰექტარზე დათესილი სიმინდის ნიადაგის განოყიერებას, თუმცა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი აუდიტორებს ვერ წარუდგინეს.

„ვინაიდან დადგენილი ნორმით, აღნიშნული მოცულობის სასუქის მოხმარება 1 ჰექტარ მიწაზე, საშუალოდ, 300-500 კგ-ის ოდენობით ხორციელდება, 41 ტონა სასუქით, მინიმუმ, 82 ჰექტარი მიწა უნდა განოყიერებულიყო. ამასთან დაკავშირებით, სააგენტოში განაცხადეს, რომ სასუქი იყო მეორადი ამონიუმის გვარჯილა და მასში აზოტის გვარჯილის დაბალი შემცველობის გამო, დანახარჯი იქნებოდა მეტი, კერძოდ, 1 ჰექტარზე – 1.5-2 ტონა (ნორმასთან შედარებით 200-300%-ით მეტი), თუმცა „რუსთავის აზოტისგან“ მიღებული ინფორმაციით, მეორადი ამონიუმის გვარჯილის გადახარჯვა უმაღლესი ხარისხის სასუქთან შედარებით, 1 ტონაზე შეადგენდა მხოლოდ 17 კგ-ს (1.7%).

აღსანიშნავია, რომ მიღებული მოსავალი – 40 ტონა სიმინდი (დაგეგმილის ნახევარი), სააგენტოს მიერ შეფასდა 12 000 ლარად და ხარჯეფექტურობიდან გამომდინარე, 172 424 ლარის დანახარჯით, 12 000 ლარის ღირებულების მოსავლის მიღება არაეფექტიანი აღმოჩნდა“.

იქიდან გამომდინარე, რომ განხორციელებული შესყიდვებისა და ჩატარებული სამუშაოების რეალობა ვერ დადასტურდა, საბიუჯეტო რესურსები გაიხარჯა არამიზნობრივად და სიმინდის მოყვანისა და დევნილი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები აღმოჩნდა არაეფექტიანი. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია, შესაბამისი მასალებით, გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

სამართალი

№31 10 აგვისტო 2022 წ

მშობლების მკვლელი

რა ელის ციხეში დამნაშავეს, რომელიც ოჯახის წევრებსა და ნათესავებს სასიკვდილოდ იმეტებს

ბათო ჯაფარიძე

მიმდინარე წლის 30 აპრილს, ვაზისუბანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა. თავდაპირველი ინფორმაციით, ხანძრის შედეგად ოჯახის ორი წევრი, ცოლ-ქმარი დაიღუპა. სატელევიზიო კადრებში ნათლად ჩანდა წყვილის შვილი, გიორგი ბეროზაშვილი, რომელიც ბოლო ხმაზე მოთქვამდა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მშობლები ჯერ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, შემდეგ კი სახლს ცეცხლი წაუკიდეს. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი მალევე დააკავეს და ის... გიორგი ბეროზაშვილი აღმოჩნდა. თავდაპირველად გავრცელებული ინორმაციის თანახმად, ზაზა ბეროზაშვილისა და ლალი თავაძის მკვლელობა შვილმა აღიარა და აღნიშნა, რომ ყველაფერი თანხის დაუფლების მიზნით გააკეთა, ცეცხლი კი კვალის დაფარვის გამო გააჩინა, თუმცა წინასასამართლო მოსმენა დაიწყო და გიორგი ბეროზაშვილი დუმილის უფლებას იყენებს. მან და დაზარალებულად ცნობილმა მისმა დამ, სასამართლო სხდომის დახურვა მოითხოვეს, რადგან განმარტეს, რომ ეს მათი ოჯახის საქმეა, თუმცა მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. სამაგიეროდ, დაკმაყოფილდა ბრალდებულის ადვოკატების მოთხოვნა და გიორგი ბეროზაშვილის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ.

ამ კონკრეტულ საქმეზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ბოლო დროს დამკვიდრდა ტრადიცია, მკვლელობისთვის გასამართებული ადამიანები და უფრო მეტად ისინი, ვინც ფაქტზე დააკავეს, ჯიუტად ცდილობენ, საქმე სწორედ ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. გათვლა მარტივია – ნაფიცი მსაჯულები არ არიან პროფესიონალი იურისტები, არ არიან ცივსისხლიანი პროკურორები და არსებობს შინაგანი განწყობა, რომ ისინი შეიძლება პროცესის დროს „დაიკერონ“, მსჯავრდებული შეიცოდონ ციხეში გასაშვებად.

როგორ არ გავიხსენო, ათიოდე დღის წინ მოკლული მირიან კუკავას საქმეზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა რომ თქვა, ციხეში გაშვებით ცხოვრებას მინგრევთ, პროკურორმა ვერ მოითმინა და იქვე მიუგო, ცხოვრება კუკავას ოჯახს დაენგრა, თორემ შენი ადგილი ციხეშიაო. სავარაუდოდ, სწორედ ამის იმედი აქვს ბეროზაშვილსაც, რომელმაც პირველ ეტაპზე დანაშაული არათუ აღარა, არამედ, დეტალურად მოჰყვა, რა და როგორ გააკეთა. შემდეგ, როცა პირველმა შოკმა და... სინანულმაც გადაიარა, საკუთარ თავზე დაიწყო ფიქრი.

ვინც ციხეში მოხვედრილა, ზუსტად იცის, რომ ასიდან 99 შემთხვევაში, პირველი შოკის გადავლის შემდეგ, ყველა იმაზე იწყებს ფიქრს, რომ ციხეს თავი დააღწიოს და მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის სიმძიმეს, რადგან ყველას შინაგანად სჯერა, რომ შეეშალა, შეცდომა დაუშვა და ერთი შეცდომის უფლება ყველას აქვს, თუმცა იყო ისეთი შემთხვევაც, როცა პატიმარმა მოსამართლეს სასჯელი გაუსაჩივრა, მეტს ვიმსახურებ და მხოლოდ სამი წელი რატომ მაკმარეო. მაშინ იმ ბიჭმა ავარიაში საკუთარი დეიდაშვილი იმსხვერპლა, საჭესთან თავად იჯდა, ნასვამი და დეიდაშვილი გვერდით. ჰოდა, ამბობდა, დეიდას თვალებში ვერ შევხედავ, ვერც ახლა და ვერც სამი წლის შემდეგო. საქმე სააპელაციოში წავიდა, რათა მისთვის სამწლიანი „სროკი“ გაეზარდათ, თავად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისი ნასვამობა დამამძიმებელი გარემოება იყო და აუცილებლად მკაცრად უნდა დაესაჯათ.

ზოგადად, პატიმრებს, რომლებმაც ოჯახის წევრები დახოცეს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კარგის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მათ მუდმივად (ვიმეორებ, მუდმივად) ახსენებენ, რომ ოჯახის წევრები გაიმეტეს სასიკვდილოდ და ტექსტი – „შენ დედ-მამა (ძმა, და, შვილი, ცოლი) მოკალი და მე დამინდობ?!“ ყოველთვის აქტუალურია.

ისე, გამონაკლისიც არსებობს, თუ პატიმარმა ცოლი მაშინ მოკლა, როცა ღალატის დროს შეასწრო. ასეთებს არაფერს ეუბნებიან და ეს „ქურდულ ლოგიკაში“ გადასარევად ჯდება, მაგრამ იმას, რომ იმავე ცოლს, რომელსაც ღალატის დროს შეუსწარი, უბრალოდ, დაშორდე და მშვიდად იცხოვრო, „ქურდული კარაბადინი“ არ განიხილავს, რადგან კაცი თუ ხარ, კაცურად უნდა მოიქცე და რამდენად კაცურია ამ დროს მკვლელობა და საკუთარი თავის საშვილიშვილოდ დაღუპვა, თავად განსაჯეთ.

უდიდესი ალბათობით, ბეროზაშვილსაც კარგი დღე არ დაადგება. მას ციხეში შეუძლია მშვიდად ყოფნა, ცალკე კამერის მოთხოვნა და არც ის გამორიცხოთ, რომ სანამ საბოლოო განაჩენი არ დადგება, მასთან ერთად საკანში ყოფნის სურვილი არავის ჰქონდეს. მიზეზი მარტივია – კაცი, რომელიც დედ-მამის დახოცვაშია ეჭვმიტანილი, არ გინდა, შენს გვერდით იყოს, არ გინდა, ერთი თეფშიდან ჭამდეთ, არ გინდა, იმ ჰაერს სუნთქავდეს, რომელსაც შენ.

ასე ხშირად მომხდარა, ოჯახის წევრების ან წევრის მოკვლისთვის ბრალდებული სხვა პატიმრებს საკნიდან გაუგდიათ, ადმინისტრაციისთვის მოუთხოვიათ გაყვანა და დამუქრებიან კიდეც, თუ ჩვენთან დატოვებთ, დავლეწავთო.

ცნობისთვის: ბეროზაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და რაც მთავარია, არავის აქვს უფლება, ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

სამწუხაროდ, თითქმის არავის გახსენებია, რომ 4 ივლისს, 4 წელი გავიდა ხადის ხეობაში მომხდარი დანაშაულიდან. 2018 წლის 4 ივლისს, სმითების ოჯახი ამოწყვიტეს. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი მალევე დააკავეს და მალხაზ კობაურმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მართალია, შემდეგ ყველაფერი უარყო, მაგრამ მტკიცებულებები იმდენად უტყუარი იყო, რომ მის ბრალეულობაში ეჭვი არავის შეპარვია.

სხვათა შორის, მაშინაც, ადვოკატებისა და ბრალდებულის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების თანდასწრებით წარიმართა და ვერდიქტიც მათი იყო – დამნაშავეა!

კიდევ ერთი: ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ბრალდებული დამნაშავე ან უდანაშაულოა, ხოლო სასჯელის ზომაზე გადაწყვეტილებას მოსამართლე იღებს.

მექრთამე მოსამართლის კრიმინალური დოსიე

რატომ მოკლა თანაშემწე და როგორ გაიმეტა სასიკვდილოდ თანაჯგუფელი თემიდას მსახურმა

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ყველას გახსოვთ, რა ამბავი ატყდა, როცა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის თანამშრომელი თავზე დაადგა და კონკრეტულ განაჩენზე ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, იგივე აშშ-ში რომ მომხდარიყო, ჩვენი ელჩი თუ გამოასწრებდა, ხომ კარგი, თუ არა, შესაძლოა, ელჩი დაეკავებინათ, რადგან მოსამართლეები იქ, ლამის, წმინდანებად არიან შერაცხულნი. ზოგადად, სასამართლო სისტემა დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, თუმცა აგერ, 30 წელია, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და, რბილად რომ ვთქვათ, სასამართლო დღემდე არაერთ კითხვას ტოვებს. რაღა თქმა უნდა, კარგად ვიცით, რომ სასამართლოთი ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ როცა ერთი და იგივე მოსამართლე წინა ხელისუფლების დროს, თურმე, არაკანონიერ გადაწყვეტილებებს იღებდა, ახლა კი გამოსწორდა, ძნელი დასაჯერებელია.
რასაც მოსამართლეებს ვერ დავუკარგავთ, კოლეგიალობაა. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, ერთმანეთი დაიცვან და ტერმინი – „მოსამართლეთა კლანიც“, სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, შეთქმულების თეორიებისა და კიდევ იმის, რომ ყველა მოსამართლე ცუდია, ან პირიქით – ყველა მოსამართლე კარგია, არ მჯერა, მაგრამ ამ ინსტიტუტს, მინიმუმ, დახვეწა რომ სჭირდება, ფაქტია.

„შევარდნაძის მთავრობა ბოლო თვეებს ითვლიდა და ნებისმერი პროვოკაციისთვის მზად ვიყავით. ძალოვან უწყებას ინფორმაცია ჰქონდა, რომ შეიძლება, ისეთი დანაშაული მომხდარიყო, რომელიც აქციების გასაძლიერებლად იქნებოდა ოპოზიციისთვის ხელსაყრელი, ამიტომ ყველაფერს ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდით. ჰოდა, სწორედ ასეთ დროს, ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწე მოსამართლის სახლში დაიწვა. წინასწარი ვერსიით, მოსამართლეს გაზის გამორთვა დაავიწყდა და მისმა თანაშემწემ შინ შესვლისას შუქი აანთო, რის შემდეგაც აფეთქება მოხდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად ჩანდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პირველი კითხვა, რომელიც მაშინვე გაჩნდა – რა უნდოდა მოსამართლის ახალგაზრდა თანაშემწეს მოსამართლესთან, რომელსაც იმ პერიოდისთვის ცოლ-შვილი არ ჰყავდა? თავად მოსამართლემ თქვა, რომ წნევის წამალი დაუმთავრდა, ბევრი სამუშაო ჰქონდა და წამლის მოსატანად თანაშემწე გოგონა გაგზავნა. მან მოსამართლის სახლი იცოდა, საბუთებისთვისაც ხშირად გაუგზავნია და ეს სამწუხარო ამბავი მოხდა. მოსამართლე დარწმუნებული იყო, რომ მასზე შურისძიება იმ კრიმინალურ ავტორიტეტს სურდა, რომელსაც ასამართლებდა და ძალიან დიდი ალბათობით, 15 წელს მიუსჯიდა. იმის მიუხედავად, რომ კარის საკეტი გამოგლეჯილი იყო, ექსპერტმა დაასკვნა, კარი „ატმიჩკებით“ იყო გაღებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ გაზი შეგნებულად მოუშვა.

ამასთან, მოსამართლე იფიცებოდა, ბოლო სამი დღეა, შინ ისეთი დაღლილი მივდივარ, სამზარეულოში არც შევსულვარ, გაზი არ ამინთია და მოშვებული რომ ყოფილიყო, ამ სამ დღეში გავიგუდებოდიო.

გამოძიებამ კრიმინალური ავტორიტეტის გარემოცვის შესწავლა დაიწყო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ერთი ოპერმუშაკი, რომელიც საქმის გამომძიებელთან მივიდა.

„ეს მოსამართლე, რომელსაც უმწიკვლო რეპუტაცია და პატიოსანი კაცის სახელი აქვს, სინამდვილეში, ყველაზე დიდი მექრთამეა. ამას მაშინ მივხვდი, როცა ჩემი და გაიტანა მანქანამ და ბევრი მცდელობის მიუხედავად, სიმართლე ვერ დავამტკიცე, თანაც დააკვირდით მოსამართლის გადაწყვეტილებებს, ყველა საქმეზე, სადაც მას კონკრეტული ადვოკატი ჰყავდა, ისეთი განაჩენი დადგა, რომელიც ბრალდებულს აწყობდა. ეს ადვოკატი კი მისი თანაჯგუფელი და ძმაკაცია, ქრთამს მხოლოდ მისგან იღებს, ამ საქმეზეც რამდენიმე დღის წინ შეხვდა ადვოკატს და აგერ, ფოტოებიც მაქვს“, – უთხრა ოპერმა გამომძიებელს და ის ფოტო ანახა, სადაც ერთ-ერთ რესტორანში, მაგიდას მოსამართლე და ადვოკატი უსხდნენ, მათ შუაში კი საკმაოდ მსხვილი კონვერტი იდო.

გამომძიებელმა მოსამართლე დაიბარა და სურათი წინ დაუდო. მან აუღელვებლად დახედა და თქვა, შეგიძლიათ რესტორნის პერსონალი დაკითხოთ, რა მოხდა იმ დღეს, ეს ფოტოც ანახეთ და მოგიყვებიანო. სამართალდამცავები რესტორანში წავიდნენ.

„ეს ორი ადამიანი ჩვენთან რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა. თავიდან ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, შემდეგ ერთ-ერთი (ოფიციანტებმა ხელი მოსამართლის სურათს დაადეს) წამოხტა, ჯერ ჩუმად და დაძაბულად საუბრობდა, შემდეგ ხმამაღლა აყვირდა და ეს კონვერტი თანამოსაუბრეს სახეში ესროლა. იქიდან მსხვილი კუპიურები გადმოიყარა, რის შემდეგაც მამაკაცმა რესტორანი დატოვა, მეორემ კი ფული შეაგროვა, მოთხოვნილი ყავა ბოლომდე დალია და მშვიდად წავიდა“, -გაიხსენა რესტორნის მომსახურე პერსონალმა.

ახლა გამომძიებლებმა იმ ოპერს რესტორნის პერსონალის ჩვენება დაუდეს წინ და მან თავი გადააქნია, სცენა დადგეს, სავარაუდოდ, მიხვდნენ, ფოტო რომ გადავუღე, რის შემდეგაც, ყურადღება რომ არ მიმეპყრო, იქიდან წამოვედიო.

„საფუძველი არ მქონდა, ოპერისთვის დამეჯერებინა, მით უმეტეს, რომ მოსამართლეს სახელმწიფო დაცვა დაუნიშნეს და რაც მთავარია, მან გარკვევით თქვა, ჩემი თანაშემწის სისხლს არავის შევარჩენ, ბრალდებული მთელი სიმკაცრით დაისჯებაო. ყოველი შემთხვევისთვის, გადავხედე იმ განაჩენებს, რომელზეც ის ოპერმუშაკი ამბობდა, მართლაც, როცა ადვოკატი მისი თანაჯგუფელი იყო, განაჩენი თითქოს შერბილებული გახლდათ, მაგრამ არა – ყველა შემთხვევაში და ეს უბრალო დამთხვევად ჩავთვალე. ახლა საჭირო იყო, როგორმე, იმ კრიმინალისთვის დაგვემტკიცებინა, რომ მოსამართლეზე თავდასხმა სწორედ მისი ორგანიზებული იყო და ის მხოლოდ იღბლიანმა შემთხვევამ იხსნა, თუმცა ახალგაზრდა ქალი დაიღუპა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ყოველი შემთხვევისთვის, ადვოკატის დაკითხვაც გადაწყდა და ის განყოფილებაში დაიბარეს, მაგრამ გზაზე ავარია შეემთხვა, წინ მიმავალ ავტომობილს შეასკდა და უგონო მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ადვოკატის ავტომობილზე სამუხრუჭე მილები იყო გადაჭრილი. არადა, გამოძიებას პირდაპირი მტკიცებულება არ ჰქონდა, რომ ყველაფერ ამის უკან, სწორედ ის კრიმინალური ავტორიტეტი იდგა და ისიც მშვიდად იმეორებდა, მე რა შუაში ვარ, ციხეში ვზივარ და გართ რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვსო.

ერთი შეხედვით, მისი საძმაკაცოც არაფერს აკეთებდა, მათზე თვალთვალი იყო დაწესებული და ისინი, პრაქტიკულად, შინიდან არ გამოდიოდნენ, გაჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულმა სხვები დაიქირავა. სანამ გამოძიება ამ მიმართულებაზე იმტვრევდა თავს, განყოფილებაში ადვოკატის შვილი, 20 წლის გოგო გამოცხადდა და გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა.

„თქვენზე მთხრეს, რომ წესიერი ადამიანი ხართ. მამაჩემის მოკვლა მოსამართლემ სცადა, ზუსტად ვიცი, რომ ეს მან გააკეთა. ის ჩვენთან ხშირად, ოღონდ ღამით დადიოდა. იცოდა, რომ უთვალთვალებდნენ, ამიტომ თავის კორპუსში, სახურავიდან მეორე სადარბაზოში გადადიოდა და იქაურობას ისე ტოვებდა, მუდმივად გრძელი ლაბადა ეცვა და ხელში ჯოხი ეჭირა, ვითომ კოჭლობდა. ზუსტად ამ აღნაგობის კაცი ცხოვრობს იმ სადარბაზოში, ამიტომ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველაფერი ეს მამამ მითხრა, რადგან ეჭვი გაუჩნდა, რომ მოსამართლე მოცილებას უპირებდა. წლებია, ისინი ერთად მუშაობენ და ფულსაც აკეთებენ, უამრავი საქმიდან აქვს მოსამართლეს ქრთამი აღებული, სახელი კი უმწიკვლო. ამ საქმიდანაც დიდი თანხა აიღო, ის აფეთქება სახლშიც თავად მოაწყო და გოგონა გაიმეტა. ყველაფერი ეს იმიტომ, რომ კრიმინალურ ავტორიტეტს შეუთვალა, შენ ჩემი მოკვლა გინდოდა და ორმაგი უნდა გადამიხადოო. შუამავალი მამა იყო, რესტორანში ის სცენაც დადგეს, ესეც მამამ მიამბო და სწორედ ავარიის წინა დღეს მითხრა, არ გამოვრიცხავ, მოსამართლეს ჩემი მოკვლა სურდეს, იმხელა თანხაზეა საუბარი და რაც მთავარია, მე ერთადერთი მოწმე ვარ, ვისაც შეუძლია ხელი დაადოს და ყველაფერში ამხილოსო. აგერ, მოხდა ის, რაც მოხდა და ზუსტად ვიცი, რომ ამ საქმეში მოსამართლის ხელი ურევია“, – სხაპასხუპით ჩამოარაკრაკა გოგონამ.

კანონის გამო, რომელიც მოსამართლეებს განსაკუთრებულად იცავს, მისი დაპატიმრების უფლება არავის ჰქონდა, თუ უშუალოდ დანაშაულის ფაქტზე არ წაასწრებდნენ. ამიტომ, სამართალდამცავებმა გოგონა თანამშრომლობაზე დაითანხმეს, მოსასმენი დაუმაგრეს და მოსამართლესთან შეხვედრაზე გაუშვეს. გოგონამ იქ ყველაფერი გაიმეორა და სიჩუმის სანაცვლოდ, კრიმინალური ავტორიტეტის მიერ გადახდილი თანხის 80% მოითხოვა, როგორც მორალური კომპენსაცია მამის მკვლელობის მცდელობისთვის. თანხის გადაცემა იმავე საღამოს, შებინდებულზე, ერთ-ერთ სკვერში უნდა მომხდარიყო. სამართალდამცავებმა გოგონას უთხრეს, რომ ადგილამდე მათი თანამშრომელი „ტაქსით“ მიიყვანდა და სკვერშიც არაერთი ოპერმუშაკი იქნებოდა. იქვე, ახლომდებარე შენობაზე დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა, რომელსაც ყველაფერი უნდა გადაეღო.

„მოსამართლე ადგილზე მოვიდა, გოგონა სკვერის ბოლოსკენ წაიყვანა და როცა დანის მოქნევა დააპირა, სწორედ მაშინ დავუყვირე, დანა დააგდე და დაგვნებდი-მეთქი. დანა არ დაუგდია, გაიღიმა, ჩემი მეგობრის შვილს ვეხუმრებოდი, შეშინება მინდოდაო, მაგრამ რა თქმა უნდა, არ დავუჯერეთ. ფული თან არ ჰქონდა, თუმცა შინ, სამალავში, იმ დროისათვის ძალიან, ძალიან დიდი თანხა ვიპოვეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოსამართლემ, პრაქტიკულად, ყველაფერი დაადასტურა, თუმცა პროცესი გაიწელა, შემდეგ „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, ხელისუფლება შეიცვალა და მოსამართლე ჯერ გაათავისუფლეს, შემდეგ თანამდებობაც დაუბრუნეს და მანაც სინდისის ქეჯნის გარეშე გააგრძელა საქმიანობა.

ბათო ჯაფარიძე

90-იან წლებში, კრიმინალური გარჩევები ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო. სამწუხაროდ, დღე კი არა, ღამის, საათი არ გადიოდა, რომ არ გაგვეგო, ვიღაც მოკლეს, ვიღაც დააყაჩაღეს, ვიღაცას ავტომობილი წაართვეს. მართალია, ოფიციალური სტატისტიკის გამოსწორებას შსს ყოველნაირად ცდილობდა, მაგრამ ეს ძირითადად გაუხსნელი საქმეების სხვებისთვის ჩამოკიდების ხარჯზე ხდებოდა. იყო შემთხვევები, როცა მოკლულ კრიმინალს სამ-ოთხ მკვლელობასა და ათამდე ყაჩაღობას „ტენიდნენ“. რეალურად კი, 90-იანებში გაუხსნელი 10 ათასზე მეტი საქმე იყო. უმრავლესობას ახლა ხანდაზმულობის ვადა აქვს გასული და რომც გაიხსნას, დამნაშავეს პასუხისგებაში ვერავინ მისცემს...

საშინელი კრიმინალური ამბავი – ცოლმა ყოფილი ქმარი ცოცხლად დაწვა

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე

თბილისის გარეუბანში, ერთ-ერთი ავტოსახელოსნოს სათავსო დაიწვა. პრინციპში, რაღა სათავსო დაიწვა, ის განყოფილება, სადაც ღამის დარაჯი ათევდა ხოლმე ღამეს. სახელოსნოს მეპატრონე ბოლო ხმაზე ყვიროდა, ამას წინათ, კრიმინალებმა მთხოვეს ფული და რომ არ მივეცი, იმიტომ დამიწვეს ყველაფერიო. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ორი დანახშირებული გვამი დახვდათ და არავინ იცოდა, მეორე გვამი ვის ეკუთვნოდა.

„სახელოსნოს მეპატრონეს დაპირისპირებული ჯგუფი ნამდვილად ჰყავდა, კონკურენტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათი საქმეები იმიტომ არ მიდიოდა კარგად, გვერდით სხვა სერვისი მუშაობდა და იმ სხვას ხელოსნებიც უფრო კარგი ჰყავდა. ამიტომ, დანაშაული პირდაპირ მიუთითებდა კონკურენტებზე და რაც მთავარია, მათ ორი კვირის წინ, სერვისის დაწვის მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ – მეპატრონემ მიუსწრო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ის, რომ დამწვარი გვამებიდან ერთ-ერთი დარაჯის იყო, მეპატრონეს ეჭვიც არ ეპარებოდა. თქვა კიდეც, ძველი რუსული სამხედრო ქამარი სწორედ მას ეკეთაო და გადარჩენილი რკინის ბალთა ამას ადასტურებდა. ოჯახის წევრებმაც დაადასტურეს, რომ გარდაცვლილებიდან ერთ-ერთი სწორედ დარაჯი იყო, რომელსაც ორი წლის წინ ფეხი ჰქონდა მოტეხილი და სპეციალური სამაგრი რკინა ედო. რკინაც იქვე იპოვეს.

რაც შეეხება მეორე გვამს, მიახლოებითაც კი ვერავინ ხვდებოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სახელოსნოს ყველა თანამშრომელი ამბის გაგებისთანავე ადგილზე მივიდა. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, დარაჯი არ სვამდა, ვინმე თანამეინახე რომ ჰყოლოდა, სხვა უბნიდან იყო და აქ არც სანაცნობო-სამეგობრო ჰყავდა, რომ დაეპატიჟაო და თანაც, ღამის 2 საათზე, ნაცნობის შეფარება ცოტა უცნაურადაც ჩანდა, ამ დროს, წესით, ადამიანი შინ უნდა იყოს.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებლებმა, პირველ რიგში, კონკურენტი სახელოსნოს თანამშრომლები და ხელმძღვანელობა დაკთხეს. მათ ქვა ააგდეს, ამას არ ვიკადრებდით, ცოცხალი კაცი შიგნით დაგვეწვა და ადრეც, როცა ჩვენ დაგვბრალდა ცეცხლის წაკიდების მცდელობა, რეალურად, ცეცხლი დავინახეთ და ჩაქრობას ვაპირებდით. მათ კი ეგონათ, ჩვენ ვუკიდებდითო. მაინც გადაამოწმეს და ყველას უტყუარი ალიბი ჰქონდა – ცეცხლის გაჩენის მომენტში, ისინი იქ ვერ იქნებოდნენ.

„რატომღაც, ეჭვი გვქონდა, რომ მთავარი სამიზნე სწორედ ის მეორე მამაკაცი იყო, რომელზეც ექსპერტიზამ დასკვნა დადო, ჯერ თავში ჩარტყმით გათიშეს და შემდეგ დაწვესო, თან რაღაც არ მომწონდა დარაჯის შვილის ნაამბობში, თითქოს რაღაც აწუხებდა, მაგრამ ცოცხალი თავით არ ამბობდა. ამიტომ, უპირველეს ამოცანად სწორედ ის დავისახეთ, გაგვეგო, ვინ იყო მეორე გარდაცვლილი. მახასიათებელი ნიშანი არ ჰქონდა. ერთი ეგ იყო, ექსპერტმა თქვა, ასე, 45-50 წლამდე მამაკაცი იქნებაო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებს ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ, ამიტომ დარაჯის გასვენებაში წავიდნენ, ეგებ, იქ მოვკრათ რამეს ყურიო და კარგად გაიგონეს, სამუდამო სამყოფელში ჩასვენების წინ, შვილმა როგორ დაატირა – მაპატიე, მამა, ჩემი ბრალიაო. ეს აღიარებითი ჩვენება თუ არა, ახალი ძაფი ნამდვილად იყო, რომელიც ოპერმუშაკებს აუცილებლად უნდა მოექაჩათ და ამიტომ, სასაფლაოდან შვილი პირდაპირ განყოფილებაში წაიყვანეს.

„იმ დღეს, როცა მამა დაიწვა, სამსახურში არ უნდა წასულიყო. არ ვიცი, ვინ დაურეკა, მაგრამ უთხრეს, დღეს არ მუშაობო და შინ დარჩა. მე კი საღამოს გვიანობამდე მეგობრებთან გართობა მინდოდა. მამამ არ გამიშვა, ვიკამათეთ, ბოლოს ვუყვირე, ვუთხარი, არ მაინტერესებს, შენ რა გინდა და რას ფიქრობ-მეთქი და წავედი. ანერვიულებულა, სახლში ყოფნა აღარ მინდაო და სამსახურში წავიდა. რომ არა ეს, ცოცხალი იქნებოდა“, – თქვა შვილმა.

სამართალდამცავებმა მარტივად დაადგინეს, რომ იმ ღამეს დარაჯთან სახელოსნოს მეპატრონის სახლის ტელეფონიდან დაირეკა და მათ შინ მიადგნენ. როგორც კი სამართალდამცავების მისვლის მიზეზი გაიგეს, სერვისის მფლობელმა მშვიდად თქვა – ყველაფერი ჩემი ბრალია, ცეცხლი მე გავაჩინე, ის კაციც მე დავწვი, მაგრამ არ მეგონა, თუ დარაჯი სამსახურში იქნებოდაო. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და მამაკაცი განყოფილებაში გადაიყვანეს.

„ჩემი ცოლი რამდენიმე წლის წინ გავიცანი. ის გათხოვილი იყო, მაგრამ ქმარი ციხეში ჰყავდა, გრძელვადიან სასჯელს იხდიდა. ერთმანეთი შეგვიყვარდა, ის ქმარს დაშორდა, ვიქორწინეთ და ბედნიერებიც ვიყავით. ამას წინათ კი ყოფილი ქმარი გამოჩნდა და შანტაჟი დაგვიწყო, ფულს ითხოვდა. ერთხელ მივეცით, ორჯერ, რომ აღარ გაჩერდა, მოკვლა გადავწყვიტე. სახელოსნოში ვითომ ფულის მისაცემად დავიბარე, მანამდე მოხუცს ვუთხარი, დღეს სამსახურში არ მოხვიდე-მეთქი. თავში რკინა ჩავარტყი, საყარაულო ოთახში შევიყვანე და ცეცხლი წავუკიდე. არც გამიხედავს ლოგინისკენ, სადაც ჩემს დარაჯს მშვიდად ეძინა. ამას ვნანობ, იმ არაკაცის მოკვლას – არა“, – დაასრულა დაკავებულმა.

ის იყო, მისი ჩვენება ოფიციალურად უნდა გაეფორმებინათ, რომ განყოფილებაში მისი მეუღლე მოვიდა და მშვიდად თქვა – ჩემი ქმარი გაათავისუფლეთ, ყოფილი ქმარი მე მოვკალი! გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და ახლა ქალის ვერსია მოისმინეს.

„წლების წინ, წვეულებიდან მოვდიოდი, საჭესთან ვიჯექი და ავარია მომივიდა, ორსულ ქალს დავეჯახე. შემთხვევის ადგილიდან მივიმალე და ყველაფერი ქმარს ვუთხარი. ვიღაცებმა ნომერი დაინახეს და მილიცია სახლში მალე მოგვადგა. ქმარიც ნასვამი იყო, მაგრამ თქვა, საჭესთან მე ვიყავიო. მაშინ არ ვიცოდით, რომ ორსული ქალი მოვკალი, თანაც ქმრის თანაკლასელი კარგ თანამდებობაზე მუშაობდა და მისი იმედი გვქონდა, თუმცა გარდაცვლილი ქალი მილიციის მაღალჩინოსნის და აღმოჩნდა. ამიტომ, ჩემს ქმარს 13 წელი მისცეს ანუ ბოლომდე გაწირეს, შემთხვევის ადგილის მიტოვება, ის რომ, ნასვამი იყო... მაშინ მეგონა, მთელი ცხოვრება დაველოდებოდი, მაგრამ რამდენიმე წელი გავიდა და სიგიჟემდე შემიყვარდა. ჰო, ჩემი მომავალი ქმარი შემიყვარდა და იმის მიუხედავად, რომ პირველი ქმარი წინააღდეგი იყო, მას გავშორდი და ხელმეორედ გავთხოვდი. როცა ციხიდან გამოვიდა, შინ მოგვაკითხა, ფული მოითხოვა. მივეცით, მერე კიდევ მოგვაკითხა და კიდევ მივეცით. ბოლოს, სახლთან დაგვიყარაულა, როცა ქმარი სახლიდან გავიდა, ამოვიდა და გამაუპატიურა, მეკუთვნის, შენს გამო, 13 წელი ვიჯექიო და დამიბარა, ორ დღეში ფულს კიდევ მომცემ, სხვა რამესაც უკვე ნებით და ერთმანეთს დავემშვიდობებითო. ქმრისთვის არაფერი მთქვამს, ვიცოდი, ვერასდროს მოვიცილებდი, ამიტომ დარაჯს მე დავურეკე, გავაფრთხილე, რომ არ მოსულიყო და სახელოსნოში მივედი. როგორც კი ჩემკენ ზურგით დადგა, თავში რკინის კეტი ჩავარტყი, მერე სადარაჯო ოთახში შევათრიე, ბენზინი დავასხი და ცეცხლი წავუკიდე. მართლა აღელვებული და დაბნეული ვიყავი, ის მოხუცი არც შემიმჩნევია“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

სამართალდამცავებმა დეტალების გამოკითხვის შემდეგ, დაადგინეს, რომ სიმართლეს ქალი ამბობდა და განზრახ და გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის... 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 3 წელი პირობით ერგო მის ქმარს, დანაშაულის დაფარვისთვის. როგორც გაირკვა, ქმარმა მომხდარიდან ერთ საათში, ყველაფერი იცოდა. ჰო... ისიც გაირკვა, რომ წყვილი ბავშვს ელოდა და გაუპატიურების შემდეგ, ქალს მუცელი მოეშალა. ამის თაობაზე მან დაკავების შემდეგ გაიგო, სასწრაფოდ ოპერაციაც გაუკეთეს, რათა გარდაცვლილი ნაყოფი ამოეღოთ. სწორედ მაშინ თქვა ქალმა, შანსი რომ მქონდეს, იმ არაკაცს კიდევ ერთხელ მოვკლავდიო. ახლა, ის არის საინტერესო, ვინ უფრო დიდი დამნაშავეა, ქალი, რომელმაც ყოფილი ქმარი მოკლა, თუ კაცი, რომელმაც ცოლის გამო, ციხეში 13 წელი გაატარა?!

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ბ.მ. თბილისში დააკავეს. მას ბრალად ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება ედება.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, თბილისში, რიყეზე მდებარე ერთ-ერთ ბარში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ამავე ბარის დაცვის ხუთ თანამშრომელსა და მათ ერთ მეგობარს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ. ამჟამად ისინი სახლში განაგრძობენ მკურნალობას.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის 14 წლისთავთან დაკავშირებით, სამშობლოს სამსახურისთვის თავგანწირულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

სამინისტროს ეზოში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმაც.

14 წლის წინ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა. ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, დაღუპული თანამშრომლების შვილებსა და ოჯახებს, ტრადიციულად, მატერიალური დახმარება გაეწიათ.

ვახტანგ გომელაურმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, მთავრობის წევრებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე მივიდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგო.

14 წლის წინ, 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია რვა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, შიდა ქართლში, სამეგრელოში, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულია რვა პირი, ერთი პირი კი აღნიშნულ დანაშაულშია მხილებული.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1989 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ს.ც. თბილისში დააკავეს. პოლიციამ მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1995 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ ბრალდებულისგან ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და ვაზნები.

სამეგრელოს პოლიციამ 1978 წელს დაბადებული ზ.ს. მარტვილის მუნიციპალიტეტში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ერთლულიანი შაშხანა, ერთლულიანი გადაჭრილი თოფი, სხვადასხვა კალიბრის 6 ვაზნა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1962 წელს დაბადებული გ.მ. დუშეთის მუნიციპალიტეტში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს „პარაბელუმის“ ტიპის პისტოლეტი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ვ.ყ. დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 8 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1967 წელს დაბადებული ზ.ი., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით გორში დააკავეს, 1963 წელს დაბადებული გ.ჩ. კი ამავე დანაშაულში ამხილეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულების საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბერეტას“ ტიპის პისტოლეტი, სხვადასხვა კალიბრის დიდი რაოდენობით საბრძოლო ვაზნა, ასევე, მჭიდები. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.გ. ბათუმში დააკავეს. ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „ბერეტას“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 5 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებულ, წარსულში ნასამართლევ, 1974 წელს დაბადებულ რ.დ.-საც. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 11 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

არის კონტრაქტი – მამარდაშვილი 100 მილიონი ღირს

ზამთრის სატრანსფერო სეზონში, „ვალენსიამ“ გიორგი მამარდაშვილის სანაცვლოდ, თბილისის „დინამოს“ 850 ათასი ევრო გადაუხადა, ახალგაზრდა მეკარესთან ხელშეკრულება 2023 წლამდე გააფორმა, მის გამოსასყიდი ფასი კი კონტრაქტში 20 მილიონი ევრო ჩაწერა. რეალურად, „ღამურებმა“ გიორგი მესამე მეკარედ მიიყვანეს, მაგრამ ჯერ გუნდის მეორე მეკარე დაიმტვრა, შემდეგ ძირითად კიპერს ვირუსი დაუდგინდა და მწვრთნელიც იძულებული იყო, კარში მამარდაშვილი ჩაეყენებინა, რომელმაც ბოძებული შანსი საუცხოოდ გამოიყენა და „ვალენსიას“ მესვეურები მიხვდნენ, რომ ხელში პრაქტიკულად უფასოდ, ნამდვილი მარგალიტი ჩაუვარდათ.

სეზონის დასრულების შემდეგ, ქართველი კიპერის გადაბირება „მანჩესტერსა“ და „ტოტენჰემს“ სურდათ, 20 მილიონის გადახდაზე ორივე თანახმა იყო, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, რადგან ინგლისური კლუბები მამარდაშვილს, როგორც პერსპექტიულ მეკარეს, ისე ყიდულობდნენ და ძირითადი კიპერების დუბლიორად სურდათ. ამით გადასარევად ისარგებლა „ვალენსიამ“ და მამარდაშვილთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

„სასიხარულო ამბავი გვაქვს – გიორგი მამარდაშვილი გუნდში 2027 წლამდე დარჩება, ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვამდე მისი გადაბირება რომელიმე კლუბს მოუნდება, 100 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს“, – ნათქვამია კლუბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გაგამარუმ სუმოისტის კარიერა დაასრულა

ქართველი სუმოისტი, თეიმურაზ ჯუღელი, იგივე, გაგამარუ პროფესიონალი სუმოისტი აღარ არის. უმაღლესი დივიზიონიდან ქვედა დივიზიონში დაქვეითების შემდეგ წელიწადნახევარზე ოდნავ მეტი გავიდა და 33 წლის ფალავანმა კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. თუმცა, სუმოში მხოლოდ განცხადების გაკეთება არ კმარა, აუცილებელი პროცედურა თმის შეჭრაა და ამ ცერემონიალს 250-მდე სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყო ლეგენდარული მონღოლი ჩემპიონი ჰაკუჰო.

„მადლობა ყველას, ვინც დღევანდელ ცერემონიალს ესწრებით. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ჩვეულ ვარცხნილობასთან განშორება დასანანია, მაგრამ ახლა ჩვეულებრივი ადამიანივით, თავს ყოველდღიურად დავიბან და სადალაქოშიც ვივლი, ეს ხომ ერთადერთი ადგილია იაპონიაში, სადაც ნამყოფი არ ვარ“, – ასე მხიარულად მიმართა ჯუღელმა სტუმრებს.

აქვე გეტყვით, რომ გაგამარუმ ადგილობრივ ტელევიზიებს დაუდასტურა ქორწინება და ისიც თქვა, რომ ცოლად იაპონელი გოგონა მოიყვანა, რომელსაც აგერ უკვე 7 წელია ხვდებოდა. გაგამარუს იაპონური სპორტული არხები ხშირად იწვევენ სუმოზე სასაუბროდ და დიდი ალბათობით, ის ამ სფეროდან არსად წავა. მას სუმოისტის რანგში 1052 ბრძოლა აქვს ჩატარებული საიდანაც 516-ში იმარჯვა. და ერთიც – ბოლო ტურნირზე, გაგამარუ 220 კილოგრამს იწონიდა, ახლა კი სტუმრების წინაშე სრულიად სახეცვლილი წარსდგა – ის 130 კილოგრამია.

აზაროვი 300 ათასად გაიყიდა

ბათუმის „დინამოს“ მცველი ირაკლი აზაროვი კარიერას „ცრვენა ზვეზდაში“ გააგრძელებს. ბელგრადულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 300 ათასი ევრო გადაიხადა და რაც მთავარია, აჭარულ გუნდს მომავალი ტრანსფერიდან კიდევ 20% ერგება.

ერთი შეხედვით, აზაროვისთვის „ცრვენა ზვეზდაზე“ უკეთესი ვარიანტის გამონახვა შეიძლებოდა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ სერბებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში, პრაქტიკულად, ყოველ წელს განაღდებული აქვთ და თუ ირაკლი საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენს, გრანდში გადასვლას წინ ვერაფერი დაუდგება. შეგახსენებთ, რომ არც თუ დიდი ხნის წინ, აზაროვის შეძენით თურქული „ტრაბზონსპორი“ იყო დაინტერესებული, ყველა დეტალი შეთანხმებული გახლდათ, აზაროვი თურქეთშიც ჩავიდა, მაგრამ თურქულმა მხარემ პირობები შეცვალა და ტრანსფერიც ჩაიშალა.

კვარაცხელია იტალიური პრესის პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის

ხვიჩა კვარაცხელიამ ნაპოლის“ რიგებში მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ვარაუდობ-დნენ, რომ ის ჯანმრთელად არ იყო და არ ითამაშებდა. მართლაც, „ჟირონასთან“ შეხვედრა თადარიგში დაიწყო, მაგრამ 24-ე წუთზე ტრავმირებული თანაგუნდელი შეცვალა და მატჩიც ბოლომდე ჩაამთავრა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას – „ნაპოლიმ“ 3:1 იმარჯვა და სამიდან ერთი გოლი, თავისი-ვე მოპოვებული თერთმეტმეტრიანით, სწორედ კვარაცხელიამ გაიტანა. ნამატჩევს, იტალიური კლუბის თავკაც ლუჩანო სპალეტის არ დაუმალავს, რომ კვარა მისი გუნდის უმთავრესი მარგა-ლიტია და აღიარა, რომ არ ელოდა, თუ ქართველი ფეხბურთლელი ასეთ დონეზე იასპარეზებდა და უმოკლეს ხანში პერსპექტიული მოთამაშიდან გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდებოდა.

ჩვენებურის ასპარეზობა შეუმჩნეველი არ დარჩენია იტალიურ მედიასაც. თუ აქამდე, ხვიჩას შესახებ გაზეთის შიდა გვერდებზე იწერებოდა, ახლა კვარაცხელია პირველი გვერდებიდან აღარ ჩამოდის. აგერ, იტალიაში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა Corriere Dello Sport-მა ჩვენებურს პირველ გვერდზე ვრცელი ადგილი დაუთმო და მისთვის არც საქებარი სიტყვები დაიშურა. იმის გასაგებად, რას ფიქრობს ჟურნალისტი კვარაცხელიაზე და რას ამბობს მწვრთნელი, იტალი-ურის ცოდნა საჭირო არაა.

„ჰალა, მადრიდ!“ – ლევანდოვსკი მიუნხენიდან გაიცილეს

მიუნხენის „ბაიერნის“ ან უკვე ყოფილი თავდამსხმელ, რობერტ ლევანდოვსკი კლუბის ბაზაზე მივიდა, რათა პერსონალსა და თანაგუნდელებს დამშვიდობებოდა. ხუმრობა ხომ არ არის, 2014 წლიდან დღემდე, პოლონელმა ფორვარდმა „ბაიერნის“ მაისურით ყველა ტურნირზე 375 შეხვედრა ჩაატარა და 344 გოლი გაიტანა, რაც ფენომენალური შედეგია.

ბაზიდან გამოსულ ლევანდოვსკის, რამდენიმე ასეული გულშემატკივარიც დახვდა. პოლონელმა მანქანა შეაჩერა, ეგონა, გაწეული სამსახურისთვის მიუნხენური ფანო-ბაც ტაშს დაუკრავდა, მაგრამ ყველამ ერთხმად „ჰალა, მადრიდ!“ დაუძახა და ფანები მანამ არ გაჩერდნენ, სანამ ლევანდოვსკი თვალს არ მიეფარა. მოგეხსენებათ, რობე-რტმა კონტრაქტი „ბარსელონასთან“ გააფორმა, კატალონიელთა მოსისხლე კლუბი კი, სწორედ მადრიდის „რეალია“ და პოლონელს გული ასე ატკინეს. თუმცა, ისიც საეჭვოა, ლევანდოვსკის ამაზე ბევრი ენერვიულა, რადგან ახალ კლუბში, ხელფასის სახით, 15 მილიონის გარდა, ერთ ამდენს ბონუსებიდან და რეკლამებიდანაც მიიღებს.

როცა კანონი ყველასთვის კანონობს

ნაიდან ტუვშინბაიარი ძიუდოს სამყაროში კარგად ცნობილი სახელი და გვარია. მონღოლი ფალავანი ოლიმ-პიადის ფინალში ორჯერ გავიდა, 2008 წელს, ოქროს მედალს დაეუფლა, 2012-ში კი ფინალი დათმო და ვერცხლს დასჯერდა. 2017 წელს, მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (მედლისთვის ბრძოლა ჩვენს გურამ თუშიშვილს მოუგო), შემდეგ კი პოლიტიკაში ჩაერთო და მონღოლეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, მილიარდერ ხალთმააგინ ბატულგას საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გახდა. ბატულგამ ის არჩევნები მოიგო და 2021 წლამდე მონღოლეთის პრეზიდენტიც იყო, ტუვშინბაიარი კი მასთან ყველაზე დაახლოებული პირი გახლდათ, თუმცა ნაიდანმა სპორტის სფეროს თავი ვერ დაანება და მონღოლეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა.

ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან მალევე, ის მონღოლეთის ძიუდოისტთა ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრა და იქ ნაკრების წევრთან, ერდენებილეგ ენბახტთან შელაპარაკება მოუხდა. ეს ყველაფერი ჩხუბში გადაიზარდა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ძიუდოისტს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა, რის შემდეგაც ის ადგილზე გარდაიცვალა. პოპულარობისა და თანამდებობის მიუხედავად, ტუვშინბაიარი მაშინვე დააკავეს, პროცესი თითქმის ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ საქმეს ჩაფარცხავდნენ, 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას არ აპირებენ, რადგან აღიარებენ, რომ ზედა ინსტანცია განაჩენს არ შეცვლის.

გრაინერს რუსეთში 9 წელი მიუსაჯეს

ბრიტნი გრაინერი ამერიკული კალათბურთის ლეგენდაა. 31 წლის გოგო ამერიკის ქალთა ნაკრებთან ერთად, ოლიმპიური ჩემპიონი ორჯერ გახდა და თანაც გუნდის გამორჩეული ლიდერი იყო. როცა ამერიკაში სეზონთაშო-რისო შესვენება იყო, ბრიტნი რუსეთში ჩადიოდა და საუკეთესო რუსულ კლუბში, ეკატერინბურგში“ თამაშობდა.

მიმდინარე წლის 17 თებერვალს, უკრაინაში შეჭრამდე ერთი კვირით ადრე, გრაინერი სამშობლოში ბრუნდებოდა და აეროპორტში შეაჩერეს. მისი ჩხრეკის დროს, ელექტრო-სიგარეტის კარტრიჯებში კანაფის ზეთის შემცველი ნივთიერება აღმოჩნდა. გრაინერმა განაცხადა, რომ ადრეც არაერთხელ გადაუკვეთავს საზღვარი ამ ნივთებით და პრობლემა არასოდეს ჰქონია, რადგან ეს შემცველობა ევროპის ყველა ქვეყანასა და ამერიკაში დაშვებულია.

კალათბურთელი მაშინვე დააკავეს და მას ბრალად ნარკოტიკების კონტრაბანდა წაუყენეს. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაშინვე თქვა, რომ ამ ყველაფერს პროვოკაციის სუნი ასდიოდა და გრაინერს რაღაცისთვის იტოვებდა რუსეთი. შედეგად, ცნობილ კალათბურთელს 4 აგვისტოს 9-წლიანი სასჯელი მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, თუმცა რუსული მხარე წინააღმდეგი არ არის, გოგონა რომელიმე პატიმარში გაცვალოს. ახლა, ამერიკა ელოდება, ვის გათავისუფლებას მოითხოვს ოფიციალური რუსეთი გრაინერის სანაცვლოდ.

დათო ევგენიძე: „რატომ უნდა ვუმართო კონცერტები ხელისუფლებას, რომელსაც ჩემი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული?!“

ანი სარდლიშვილი

რამდენიმე დღეა, მომღერალ მეგი გოგიტიძის გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. 6 აგვისტოს, გოგიტიძემ კონცერტი რუსეთში გამართა, რის გამოც ბათუმში, „სექტორ 26“– მა მას კონცერტი გაუუქმა. მეხუთე თვეა, რუსეთ– უკრაინის ომი მიმდინარეობს და მსოფლიო ფორს-მაჟორშია. სანქციების გამო, თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია გაემიჯნა რუსეთს. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ მეგი გოგიტიძის მოსკოვში გამგზავრებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა... ამ თემაზე „ვერსია“ ქართველ კომპოზიტორსა და მუსიკოსს, დავით ევგენიძეს ესაუბრა.

„თუ კი რამე პრიზია, ყველაფერი აღებული მაქვს რუსეთში, მაგრამ მივატოვე აგვისტოს ომის შემდეგ“

– ბატონო დავით, მთელი საქართველო მოიცვა ამბავმა, რომ მეგი გოგიტიძემ უნდა იმღეროს რუსეთში. როგორ აფასებთ მის გადაწყვეტილებას?

– ზოგადად, არ მიყვარს სხვისი განსჯა, მაგრამ დავაყენებ ჩემს თავს მის ადგილზე. ეს ჩემთვის გამორიცხულია, წარმოუდგენლად გამორიცხულია რუსეთში წასვლა და იქ კონცერტის ჩატარება.

– უკრაინის ომს რომ თავი დავანებოთ, გოგიტიძე აგვისტოში მართავს კონცერტს ანუ იმ დროს, როცა 14 წლის წინ, ზუსტად ამ დროს, საქართველოს რუსეთი დაესხა თავს...

– ძალიან დიდი ხანია, ომი გვაქვს რუსეთთან. აგვისტოს პერიოდი უფრო ამძაფრებს მის საქციელს. რა თქმა უნდა, აგვისტოს ომის წინა დღეებში კონცერტის ჩატარება რუსეთში, სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხვდები, რას ნიშნავს. შეიძლება, მე ვარ ჩამორჩენილი, მაგრამ ეს ჩემთვის საკმაოდ წარმოუდგენელია.

– კულტურა უნდა გაემიჯნოს პოლიტიკას?

– კულტურა გამომხატველია ადამიანთა გონებისა და სულიერებისა, ხომ მართალია?.. კულტურა არის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. ლექსითა და სიმღერით გადიოდნენ ქართველები ბრძოლაში. ქმედითია კულტურა, სიტყვაც ქმედითია... ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ უკრაინის გამო, არამედ, დიდი ხანია, ომი გვაქვს რუსეთთან, ჩვენ პირველები ვიყავით საბჭოთა კავშირში, რომლებმაც დავიწყეთ ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლა. არ მიყვარს არასდროს არავის გაკრიტიკება... ქრისტიანულად რომ ვთქვათ, „ნუ განსჯი და არ განისჯები“, მაგრამ ჩემი აზრი შემიძლია გამოვთქვა, რომ ამას ვერ შევძლებდი ვერასდროს, რა ფასი და მიზეზიც უნდა ჰქონდეს, ჩემთვის ეს გაუგებარია.

– ბატონო დავით, როგორც ცნობილია, მაქსიმ გალკინი ჩამოდის საქართველოში. მართალია, ეროვნებით რუსია, მაგრამ აღიარებს, რომ ანტიპუტინისტური განწყობა აქვს, თქვენ რას ფიქრობთ, მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით?

– გალკინი არა მარტო უკრაინის ომის დროს, არამედ, იქამდეც ოპოზიციაში იყო. სხვათა შორის, ალა პუგაჩოვას სდევნიდნენ უკვე უკრაინის ომამდე და ისინი პირველები არიან, რომლებმაც დატოვეს რუსეთი, პროტესტი განაცხადეს და წაართვეს საკუთარი უძრავი ქონება, ისინი იქვე იბრძოდნენ რუსეთში. ამიტომ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს გალკინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, თან ეს კონცერტები მხოლოდ საქართველოში არ ტარდება – ყველგან, მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. თანხა კი, რაც გროვდება, ირიცხება უკრაინის დასახმარებლად.

ამ შემთხვევაში, უკრიანის დახმარებაში რომ მივიღოთ მონაწილეობა კონცერტზე ჩვენი დასწრებით, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი ეროვნებით უნდა განვსაზღვროთ. რადგან რუსია, არ უნდა გავრიყოთ, ჩემმა უამრავმა რუსმა მეგობარმა დატოვა რუსეთი უკრიანის ომის დროს და არა მხოლოდ, აგვისტოს ომის პერიდშიც და იქამდეც, 90-იან წლებში, ჩვენს მხარეს იყვნენ.

– ბოლოს, ბატონო დავით, რას იტყვით კულტურის სფეროს იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც რუსეთში დღემდე აგრძელებენ კარიერას?

– თუ კი რამე პრიზია, ყველაფერი აღებული მაქვს რუსეთში – „ოქროს ვერძი“, „ოქროს არწივი“... პრიზი არ არსებობს, რაც აღებული არ მაქვს, მაგრამ ყველაფერი მივატოვე აგვისტოს ომის შემდეგ. ჩემთვის წარმოუდგენელია, იმ ქვეყანაში დარჩენა, რომელიც შენ გეომება. ეს ნიშნავს, რომ ცხოვრობ იმ ქვეყნაში, რომელიც შენს საკუთარ ქვეყანას ებრძვის. გაუგებარია ჩემთვის, რატომ უნდა ვუმართო კონცერტები იმ ხელისუფლებას, რომელსაც ჩემი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული და შენთან წლებია, ომშია?!

მეგი გოგიტიძის ეს გადაწყვეტილებაც ჩემთვის წარმოუდგენელია. რა გამართლება უნდა ჰქონდეს ამას საკუთარ ერთან, სიმართლე გითხრათ, მართლა ვერ ვხვდები. ასე რომ, ველოდები მის დაბრუნებას.

ზურგჩანთაში აღმოჩენილი კრუასანისთვის დააჯარიმეს

ავსტრალიელმა, რომელიც ინდონეზიის კურორტ ბალიდან შინ ბრუნდებოდა, აღმოაჩინა, რომ მას 1874 დოლარის ოდენობის ჯარიმა გამოუწერეს. აღმოჩნდა, რომ მან დეკლარაციაში არ მიუთითა საუზმე, რომელიც „მაკდონალდსში“ იყიდა და ხელბარგში მოათავსა. მის ზურგჩანთაში „აღმოაჩინეს“ ძეხვის ორი ნაჭერი და კრუასანი – ლორით. ასეთი მკაცრი ზომები ავსტრალიის უსაფრთხოებამ ინდონეზიაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების გამო მიიღო – ამ კუნძულოვან სახელმწიფოში ფეხისა და პირის ღრუს დაავადების (iaSur) აფეთქებაა. მოგზაურები, რომლებიც ინდონეზიიდან შემოდიან, გაცილებით მკაცრ კონტროლს დაექვემდებარებიან, – აცხადებენ ავსტრალიის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

მალდივებზე უჩვეულო ვაკანსია გამოცხადდა

მალდივის ერთ-ერთ კუნძულ კუნფუნადუზე ფეხშიშველა თანამშრომელს ეძებენ, რომელიც წიგნებს გაყიდის. ადგილობრივი წიგნის მაღაზია იწვევს ადამიანს, რომელსაც უყვარს თავგადასავლები, არის მეგობრული, შემოქმედებითი ნატურა და მზადაა, მხოლოდ და მხოლოდ ფეხშიშველმა იაროს. კუნძულზე, სადაც ლუქსის კლასის კურორტებია, მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც, ფეხსაცმლის ტარება აკრძალულია. გარდა ამისა, კუნფუნადოზე არ შეიძლება ახალი ამბების გაცნობაც. ეთიკური კოდექსი ასეთია: არავითარი ფეხსაცმელი, არანაირი ახალი ამბები. სტუმრებს მოუწოდებენ, ახლო კონტაქტი ჰქონდეთ მიწასთან, – აცხადებს კომპანია Ul-timate Library-ის წარმომადგენელი.

პლასტირი კოვიდის წინააღმდეგ

ავსტრალიის ქვინსლენდის უნივერსიტეტის სწავლულებმა პლასტირი შექმნეს, რომელიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა კორონავირუსის წინააღმდეგ, ვიდრე ტრადიციული ვაქცინაცია. მკვლევარებმა პლასტირ Vaxxas-ის ეფექტურობა „ომიკრონისა“ და „დელტას“ შტამებზე გამოსცადეს. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ პლასტირი 11-ჯერ უფრო ეფექტურად ეხმარება ორგანიზმს ვირუსთან ბრძოლაში, ვიდრე ვაქცინა. პლასტირი წარმოადენს პლატფორმას, რომელიც მიკროჩიპების მეშვეობით აწვდის იმუნური უჯრედებით მდიდარ წამალს დერმას ფენაში. ამ მომენტისთვის, კომპანია დაჩქარებული წესით მუშაობს მის დახვეწაზე და კლინიკური ცდებისთვის ემზადება, რათა სამომავლოდ მასობრივ წარმოებაში ჩაუშვან.

მარაზმატიკებად გაჯეტები გვაქცევს

სმარტფონებისა და კომპიუტერების გადაჭარბებული მოხმარება ჩვენს ტვინს, ფაქტობრივად, „ნაგავსაყრელად“ აქცევს, – გვაფრთხილებენ იაპონელი სპეციალისტები. მათი მოსაზრებით, გაჯეტების ხშირი გამოყენება ხელს უწყობს მეხსიერების დარღვევას, მარაზმისა და დეპრესიის განვითარებას. მკვლევარები ამბობენ, რომ ინფორმაციის დალაგებაზე ტვინში, პასუხისმგებელია შუბლის არეში მდებარე წინაფრონტალური ქერქი. ის ასევე პასუხისმგებელია აზროვნებაზე, აკონტროლებს მეხსიერებასა და ემოციებს. ინფორმაციებით ტვინის გადატვირთვისას, ამ ფუნქციების მუშაობა ირღვევა, რაც გაღიზიანებასა და იმედგაცრუებას იწვევს. სწავლულები გვირჩევენ, ტვინი დავასვენოთ, შევამციროთ სმარტფონებისა და კომპიუტერების მოხმარების დრო და საკმარისად გამოვიძინოთ.

ყველაზე დიდი ვარდისფერი ალმასი იპოვეს

ანგოლელმა მაღაროელებმა მსხვილი ვარდისფერი ალმასი იპოვეს, რომელიც ბოლო 300 წლის განმავლობაში აღმოჩენილებს შორის, ყველაზე დიდია. დაუმუშავებელი ძვირფასი ქვის – „ლულოს ვარდის“ (ასე უწოდეს ნაპოვნ ალმასს) ნამდვილი ზომა მისი დაწახნაგებისა და პოლირების შემდეგ გახდება ცნობილი. როგორც წესი, ეს პროცესი ბრილიანტს ზომაში 50%-ით ამცირებს. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, ქვას აუქციონზე ათობით მილიონ დოლარად გაყიდიან. როგორც ამობენ, „ლულოს ვარდი“ რიგით 27-ე ალმასია, რომლის წონაც 100 კარატზე მეტია.

გამაგრილებელი კოსტიუმი შინაური ცხოველებისთვის

იაპონურმა კომპანიამ – Sweet Mommy, რომელიც ორსულებისთვის აწარმოებს ტანსაცმელს, ამჯერად ოთხფეხა მეგობრებისთვის შექმნა კოსტიუმები, რომლებშიც ვენტილატორებია ჩამონტაჟებული. კომპანიის პრეზიდენტის თქმით, ეს იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საკუთარი ძაღლი გაასეირნა სიცხეში. თავისი ძალისხმევითა და ვეტერინარის დახმარებით, საბოლოოდ, შეიქმნა კოსტიუმი The Cool Dog-ის ბრენდის ქვეშ. ის განკუთვნილია, როგორც ძაღლებისთვის, ასევე კატებისთვისაც. კოსტიუმი ჟილეტს წარმოადგენს პატარა ვენტილატორით, რომელიც სეირნობის დროს, ცხოველს აგრილებს. მისი პირველი მყიდველები კმაყოფილები დარჩნენ – ამ ჟილეტით ძაღლებიცა და კატებიც ქუჩაში თავს უკეთ გრძნობენ. კომპანიას კოსტიუმის 100-ზე მეტი შეკვეთა აქვს. ანომალური სიცხეები კი იაპონიაში გრძელდება – თითქმის ორი კვირაა, ტემპერატურა 35 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდის.

მიკროტალღური მაცივარი შექმნეს



გერმანელმა სწავლულებმა სწრაფი გაციების ახალი მეთოდი მოიფიქრეს – მათ მიკროტალღური მაცივარი შექმნეს. ჯერჯერობით, ის მხოლოდ მოლეკულებს აციებს. აპარატი მცირე ზომის მეტალის ყუთს წარმოადგენს, რომლის შუაშიც ვენტილატორის ძრავის მსგავსი მოწყობილობა დგას. ეს ძრავა ქმნის მიკროტალღურ ველს. ამ მაცივარმა ექსპერიმენტებისას შესანიშნავი შედეგები აჩვენა. სულ რაღაც წამის მესამედში, მის შიგნით ტემპერატურამ -273.15 გრადუსი აჩვენა. ცდებისას, სწავლულები ნატრიუმისა და კალიუმისგან შემდგარ გაზს აციებდნენ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს გამოგონება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში გამოუსადეგარი იქნება. თუმცა, ასეთი საყინულე მეცნიერებს საშუალებას მისცემს, მატერიის ახალი სახეობები შექმნან.

საღეჭი რეზინი კორონას წინააღმდეგ

ბრიტანელმა სწავლულებმა ექსპერიმენტული საღეჭი რეზინი შექმნეს, რომელსაც კვლევების შედეგების მიხედვით, შეუძლია ნერწყვში კორონავირუსის ნაწილაკების რაოდენობის შემცირება, „ომიკრონის“ შტამის დროს. საღეჭი რეზინი შედგება ცილა ACE2-გან, რომელსაც COVID-19 იყენებს უჯრედებში შესაღწევად და მათ დასაინფიცირებლად. ცნობილია, რომ ექსპერიმენტების დროს, მკვლევარები იმ პაციენტების ნერწყვს იყენებდნენ, რომელთაც „დელტა“ და „ომიკრონის“ შტამები ჰქონდათ. მათ შემთხვევაში, საღეჭი რეზინის გამოყენების შემდეგ, კორონავირუსის აქტივობა 95%-ით დაქვეითდა. კლინიკური ცდებისას, რომელიც სულ მალე დაიწყება, კორონავირუსიანი პაციენტი, ოთხი დღის განმავლობაში, ყოველდღიურად, ოთხ ცალ ასეთ საღეჭ რეზინს დაღეჭავს.

ტომატის წვენი ფილტვის კიბოსგან გიცავთ

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანტიოქსიდანტები, რომელიც ტომატშია, მნიშვნელოვნად ამცირებს ფილტვის კიბოს რისკს, მწეველებშიც კი. მედიკოსები გვთავაზობენ მარტივ რეცეპტს: სიგარეტის თითოეული ღერის მოწევის შემდეგ, მიიღეთ წყლით გაზავებული ერთი ჭიქა ტომატის წვენი. კვლევისას, ამ კოქტეილს სწავლულები ლაბორატორიულ თაგვებს აძლევდნენ, რომლებიც სპეციალურად ჰყავდათ თამბაქოს კვამლით გაჯერებულ ოთახში. ექსპერიმენტის შედეგები დადებითი აღმოჩნდა. მართალია, ასეთი კლინიკური ცდები ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ ექიმების აზრით, ეს „წამალი“ ზიანს არც ერთ შემთხვევაში არ მოიტანს. მკვლევარებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ვისაც ტომატის წვენი არ უყვარს, შეიძლება, დღეში ერთხელ, ტომატის სოუსით, პასტით ან ერთი კოვზი კეტჩუპით ჩაანაცვლონ. უფრო ადრე კი, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეში ერთი ჭიქა ტომატის წვენი მიზანშეწონილია მკერდის კიბოს პროფილაქტიკისთვის.

ტუჩსაცხი ქათმის ფრთების გემოთი

აშშ-ში, კოსმეტიკისა და სწრაფი კვების ბრენდებმა ძალისხმევა გააერთიანეს და ტუჩსაცხი გამოუშვეს, რომელსაც შემწვარი ქათმის ფრთების გემო აქვს. ჯერ-ჯერობით, ეს ტუჩსაცხი სულ ოთხი არომატით იყიდება: BBQ, ტკბილი ჩილი, თაფლის სოუსი და მწარე ბაფალო. ერთი წლის განმავლობაში, სპეციალისტები საცხის ტექსტურაზე მუშაობდნენ. ისინი ცდილობდნენ, ისეთი შედეგისთვის მიეღწიათ, რომ ადამიანს ტუჩებზე ცივი სოუსის გემო არ დარჩენოდათ. ოთხიდან თითოეულ არომატს შესაფერისი შეფერილობაც აქვს, რაც ორიგინალი სოუსის მსგავსია, საცხის ფასი კი 18 დოლარია.

ოფისის მაგიდა უნიტაზზე ბინძურია

კომპიუტერის კლავიატურაზე, საშუალოდ, იმდენივე ბაქტერიაა, რამდენიც სამზარეულოს ნაგვის ვედროში. კომპიუტერის „მაუსი“ უფრო ჭუჭყიანი აღმოჩნდა, ვიდრე სახლის შესასვლელში დაგებული ფარდაგი, ხოლო ოფისის ჩვეულებრივი მაგიდა, სამჯერ ბინძურია უნიტაზის დასაჯდომზე. ასეთი შედეგები დადო ერთ-ერთი ბრიტანული „ქლინინგ“-საგენტოს დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ. კვლევისას, სპეციალისტებმა ოფისის სხვადასხვა ობიექტის ზედაპირიდან მიკროფლორის ნიმუშები აიღეს და გამოიკვლიეს. მათი თქმით, მაგიდები და კლავიატურა იმიტომ არის ასეთი ბინძური, რომ მათთან დღეში, თითქმის, 8 საათს ვატარებთ, ზედვე ვჭამთ და ვსვამთ. საჭიროა ოფისში არსებული ნივთების რეგულარული დეზინფექცია, რადგან თითოეული მათგანი ინფექციის პოტენციური გადამტანია.

გული სამი საათით გაუჩერდა

მამაკაცი ნისლიანი ალბიონიდან ცოცხალი გადარჩა მას შემდეგ, რაც გული სამი საათით ჰქონდა გაჩერებული. 27 წლის ტომ პრაისი, მეგობართან ერთად, მთაზე ადიოდა, თუმცა შუა გზაზე მას ბოდვა დაეწყო, რაღაც დროის შემდეგ კი მისი სხეულის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა გადაციების გამო და გულიც გაუჩერდა. რადგან ტელეფონები ორივე მთამსვლელს დამჯდარი ჰქონდა, მეგობარმა ტომი ადგილზე დატოვა და თავად დახმარების მისაღებად დაეშვა. მაშველებს პრაისამდე მისაღწევად საათზე მეტი დასჭირდათ. მისი ადგილზე რეანიმირება ვერ მოახერხეს, რის გამოც ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. კლინიკაში ტომის სხეულის ტეპერატურა 18 გრადუსზე დაფიქსირდა. გულის გაჩერებიდან სამი საათის შემდეგ კი მისი ამუშავება მაინც შეძლეს, თუმცა ინგლისელს კომატოზური მგომარეობა განუვითარდა და ხუთი დღის განმავლობაში, კომაში იყო.

„გამიმართლა, რომ გადავრჩი, გული სამი სათით გამიჩერდა. ექიმმა მითხრა, რომ შანსები ძალიან ცოტა მქონდა“, - აცხადებს ბედნიერი მთამსვლელი.

ბოთლებისგან ქარიშხალგამძლე სახლი ააგეს

კანადურმა ფირმამ - JD Composites, ქარიშხალგამძლე სახლი წარადგინა. ის 612 ათასი პლასტმასის გადამუშავებული ბოთლისგანაა აგებული. გადამდნარი ბოთლებისგან პლასტმასის პანელები დაამზადეს, რომელიც უძლებს ტენსა და ობს. როგორც მისი შემქმნელები ირწმუნებიან, სახლი თანამედროვე, გამძლე, მსუბუქი გამოვიდა და ამასთან, საკმაოდ იაფიც დაჯდა. ჯერჯერობით, არქიტექტორებმა მხოლოდ ერთი ნიმუში წარადგინეს, თუმცა მიაჩნიათ, რომ გადამუშავებული ბოთლებისგან სხვადასხვა დანიშნულების უძრავი ობიექტების აშენებაც შესაძლებელია. სახლს შეუძლია გაუძლოს ყველაზე აგრესიულ, მეხუთე კატეგორიის ქარიშხალსაც კი. პლასტმასის პანელები ყველაზე მკაცრ პირობებში დატესტეს და მან გაუძლო ქარიშხალს, რომელიც 524 კმ/სთ სიჩქარით ქროდა. ასეთი სახლის სავარაუდო ღირებულება 375 ათას დოლარი იქნება.

კონტრაცეპტივი თვეში ერთხელ იქნება საჭირო

სპეციალისტებმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან ორალური კონტრაცეპტივი შეიმუშავეს, რომლის მიღებაც თვეში მხოლოდ ერთხელ იქნება საჭირო. მათი თქმით, ეს ნამდვილი გარღვევა იქნება, რომელიც შეამსუბუქებს შობადობის კონტროლს, რადგან აბების ყოველდღიური მიღება საჭირო აღარ იქნება. ახალი კონტრაცეპტივი კაფსულაა, რომელიც სამი კვირის დოზას შეიცავს. კუჭში მოხვედრისას, კაფსულა გამოათავსუფლებს მიწოდების სისტემას და ის ნელ-ნელა გამოყოფს შიგთავსს - ლევონორგესტრელს. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ მისი კონცენტრაცია ოთხი კვირის მანძილზე ნარჩუნდება. ადამიანებში კი, სწავლულთა ვარაუდით, კაფსულა სრულად სამ კვირაში გაიხსნება.

„მესამე თვალი“ სმარტფონებში თავჩარგულებისთვის

სამხრეთ კორეელმა დიზაინერმა, 28 წლის მინ-ვუკ პენგმა „მესამე თვალი“ შექმნა. ესაა რობოტი-მოწყობილობა მათთვის, რომლებიც სმარტფონებს თავს ვერ აღწევენ. „დევაისი“ შუბლზე მაგრდება და მომხმარებელს ეხმარება, სხვა ადამიანებთან ან ობიექტებთან შეჯახებას აარიდოს თავი. მექანიკური თვალი აქტიურდება, „აღებს“ ხელოვნურ, გამჭვირვალე ქუთუთოს ყოველ ჯერზე, როცა ადამიანი თავს ჩაღუნავს ტელეფიონში ჩასახედად. როდესაც მომხმარებელი რამე ზღუდეს ერთ-ორ მეტრზე უახლოვდება, მოწყობილობა ხმოვან სიგნალს გამოსცემს და მას პოტენციურ საფრთხეზე აფრთხილებს. მოწყობილობის შექმნაზე ავტორს სულ ექვსი კვირა დასჭირდა. ის სეულის ქუჩებში უკვე გამოსცადეს. როდის გამოუშვებენ „დევაისს“ სერიულად, ჯერჯერობით, უცნობია.

ახალი ტესტი სახიფათო სიმსივნეებს აფიქსირებს

ამერიკელმა სწავლულებმა სისხლის ტესტი შექმნეს, რომელსაც კიბოს 50-ზე მეტი სახეობის აღმოჩენა შეუძლია. ცნობილია, რომ ეს მეთოდი განსაკუთრებით სახიფათო სიმსივნეებს აფიქსირებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში, თითქმის შეუმჩნეველნი რჩებიან. ტესტირების ახალ მეთოდზე ბოსტონში, კიბოს ინსტიტუტსა და მაიოს კლინიკების სპეციალისტები მუშაობენ. ჯერჯერობით, ეს პროცედურა ყველაზე კარგ შედეგებს დაავადების განვითარების გვიან სტადიაზე აჩვენებს, თუმცა მუშაობის შემდგომ ეტაპზე, დიაგნოზის დასმა უპრეცედენტოდ ადრეულ ეტაპზე იქნება შესაძლებელი. ამერიკელ სწავლულთა კვლევაში 7 ათასამდე პაციენტი მონაწილეობს. შემთხვევების 96%-ში, ტესტი სწორად ადგენს, რა ორგანოა დაავადებული სიმსივნით.

ნარკომანებს ჩიპი გამოავლენს



ბუფალოს უნივერსიტეტის სწავლულებმა სპეციალური ნანოჩიპი შექმნეს, რომელიც სისხლში ნარკოტიკების არსებობას ძალიან სწრაფად აღმოაჩენს. მოწყობილობას სულ მალე ექიმებსა და პოლიციელებს შესთავაზებენ. ჩიპი ვერცხლის ფირფიტებისგან შედგება, რომელიც ოქროს მტვრითაა დაფარული. სხვადასხვა ნივთიერებები, რომლებიც ჩიპთან კონტაქტში შედიან, შუქის ზემოქმედებით, ოპერატიულად გაანალიზდება, შედეგები კი უმალ გადაეცემა მკვლევარის კომპიუტერს. მაგალითად, თუკი მასში ადამიანის სისხლს ან ნერწყვს გაატარებთ, რომელმაც ცოტა ხნის წინ ნარკოტიკული ნივთიერება მიიღო, მოწყობილობა მას აუცილებლად აღმოაჩენს. ამისთვის სისხლის ლაბორატორიული ანალიზები და ხანგრძლივი ტესტების ჩატარება აუცილებელი აღარ იქნება. სწავლულები მათ მიერ შექმნილ ნანოჩიპს ალკოტესტერს ადარებენ, რომელსაც ამჟამად სამართალდამცველები იყენებენ. ჩიპიც, მის მსგვასად, ორიოდე წუთში დაადგენს სისხლში ნარკოტიკების არსებობას. ახლა ჯერი მის ტესტირებაზეა, შემდეგ კი უკვე მის მასიურ წარმოებას დაიწყებენ. ნანოჩიპის კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ მისი თვითღირებულება სულ რაღაც 10 ცენტი იქნება.

ბავშვებს მეცადინეობა აუკრძალეს

იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე მდებარე ქალაქ მამოიადას სკოლის მოსწავლეებს ზაფხულში საშინაო დავალებების შესრულება აუკრძალეს. შესაბამისი ბრძანება ქალაქის მერმა, ლუჩანო ბარონემ გამოსცა. მისი დეკრეტი 15 პუნქტისგან შედგება და ეს დოკუმენტი ქალაქის ყველა სასწავლო დაწესებულებაში გაიგზავნა. არდადეგები აუცილებელია ყველა ბავშვისთვის. უკეთესი იქნება, წეროთ, იკითხოთ, იცეკვოთ, ბევრი ისეირნოთ, ფილმები ნახოთ და განთიადს შეხვდეთ, - მოუწოდებს ყველა მოსწავლეს ბარონე. მისი თქმით, ბავშვები ზედმეტად არიან გადატვირთულები და არდადეგებზე მაინც უნდა მივცეთ უფლება, „საკუთარი ცხოვრების შემოქმედნი“ იყვნენ.

შედევრების ასლები ცელოფნებისგან

ბრაზილიელი მხატვარი, ედუარდო სრური მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი პროექტებით, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. ცოტა ხნის წინ, მან კიდევ ერთი ასეთი პროექტი განახორციელა - ცნობილი ოსტატების შედევრები შექმნა ცელოფნის პარკებისგან, რომლებიც მშობლიური სან-პაულუს ქუჩებსა და მდინარეებში მოაგროვა. 47 წლის მხატვარმა მნახველები გააოცა პიკასოს, ვან გოგის, მონეს, ჰოკუსაის, მუნკის, უორჰოლისა და სხვა სახელოვანი შემოქმედის ასლებით. მასალად მან პოლიეთილენის გამოყენებული პაკეტები გამოიყენა, რითაც გარემოს დაბინძურება გააპროტესტა. ედუარდოს თქმით, დღეს პლასტიკი „დომინირებს ყველაზე და ყველაფერზე“. უფრო ადრე მხატვარმა არაერთი, ეგრეთ წოდებული, „საქალაქო ინტერვენცია“ განახორციელა - ამ შემოქმედებითი პროექტებით საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ეკოლოგიურ პრობლემებზე.

ატამი სიბერეს ებრძვის

სწავლულები აცხადებენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ყველაზე ჩვეულებრივი, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ხილიც დაგეხმარებათ. კერძოდ, ასეთ გამაახალგაზრდავებელ ეფექტს ატამი გპირდებათ. გადაჭარებების გარეშე, შეგვიძლია, ამ ხილს ვუწოდოთ სუპერ-პროდუქტი, არაჩვეულებრივი თვისებების გამო. მკვლევარებმა ადრეც შეისწავლეს სხვადასხვა ხილი იმის გამოსავლენად, რამდენად შეუძლიათ არა მხოლოდ ადამიანის დანაყრება, არამედ, გაახალგაზრდავებაში დახმარებაც. ცნობილი გახდა, რომ ამ მხრივ ყურადღება ატამს უნდა დავუთმოთ. ეს უგემრიელესი ხილი შეუცვლელია კულინარაიასა და კოსმეტოლოგიაშიც კი. მედიკოსები გვიმტკიცებენ, რომ სიბერეს ყველაზე უკეთ ატამი ებრძვის. თუ ამ ხილს სწორად გამოვიყენებთ კოსმეტოლოგიაში, კანის გაახალგაზრდავების უძლიერეს ეფექტს მივიღებთ. გარდა ამისა, ატამი შეუცვლელია პილინგის დროსაც, ძირითადი კომპონენტის რანგში. ხილი მეტად წვნიანი და საკმარისად ტკბილია, მისი ზეგავლენით, კანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიგლუვესა და სინაზეს. ატმის რბილობი კი გაჯერებულია ნივთიერებათა კომპლექსით, რომელიც კანს კვებავს და მის ჰიდრობალანსს იცავს. ამის წყალობით, ნაოჭები მაქიმალურად გვიან ასაკში ჩნდება. გარდა ამისა, ატამი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იცავს გულის დაავადებებისგან, ეფექტიანად ეხმარება ადამიანს დეპრესიული და სტრესული სიტიაციების გადალახვაში. ატმის რეგულარულად მირთმევისას, ტვინიც კი უკეთესად მუშაობს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.